ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №10. დეკემბერი. 2014.

ძვირფასო სტუდენტებო, მილოცავთ შობა-ახალ წელს!

მაქვს პატივი საუნივერსიტეტო გაზეთის საშუალებით მოგილოცოთ დამდეგი წელი. სტუდენტები საზოგადოების ის ნაწილია, რომელიც ქვეყნის მომავალს წარმოადგენს და ძალიან მალე ბევრი მათგანი საზოგადოების წინაშე იმავე პასუხისმგებლობას იტვირთებს, რაც დღეს ჩვენ გვაკისრია.

ჩვენ ყველა ღონეს მივმართავთ, რათა სტუდენტებს მეტი საშუალება ჰქონდეთ მიიღონ ხარისხიანი უმაღლესი განათლება, წავიდნენ საზღვარგარეთ სასწავლებლად, გაიარონ პრაქტიკა უცხოეთის წამყვან დაწესებულებებში. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, უკვე უფასო გახდა 20 ფაკულტეტი; ამოქმედდა სხვადასხვა პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის სწავლასა და განვითარებაში ხელშეწყობას.

მიხარია, რომ ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტები ძალიან აქტიურები და თანამედროვედ მოაზროვნე ახალგაზრდები ხართ. მიხარია, რადგან თქვენ ჩვენი ქალაქის, ჩვენი რეგიონის მომავალი ხართ. თქვენი მოვალეობა მხოლოდ სწავლა და მიღებული განათლების საკუთარი ქვეყნისა და უპირატესად კი, რეგიონის სასიკეთოდ გამოყენებაა. ამისთვის კი აუცილებელია მიზანდასახულობა და მიზნის შესასრულებლად უწყვეტად მუშაობა.

ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომელთა წინაპარმა თავისი ტრადიციებითა და წეს-ჩვეულებით აქამდე მოიყვანა ჩვენი ქვეყანა. სწორედ ამიტომ გვაქვს ვალდებულება ქვეყნის წინაშე, რომ მომავალ თაობას ნოყიერ ნიადაგზე მოუწიოს გაზრდა. ჩვენ უახლოეს მომავალში განვითარებული მსოფლიოს საზოგადოების სრულფასოვანი ნაწილი უნდა გავხდეთ, სრულფასოვანი განათლებული საზოგადოებით, საუკუნოვანი ტრადიციებითა და თვითმყოფადობით.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ 2015 წელს.

გისურვებთ, რომ ეს წელი ყოფილიყოს თქვენი შორს გათვლილი მიზნების შესრულების და წარმატებების წელი. დამეწრმუნეთ, თქვენი წარმატება, თითოეული ჩვენგანის წარმატებაა!

გილოცავთ!

არჩილ ხაბაძე,
აჭარის მთავრობის თავმჯდომარე

ახალი წლის წინ ყოველთვის ვიხედებით უკან, ვაფასებთ გასულს, ვცდილობთ დავინახოთ ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რათა შევძლოთ მომავალი წლის უკეთ დაგეგმვა, პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა.

როგორი იყო 2014 წელი? რა თქმა უნდა წარმატებული, როგორც ყოველი წინა წელიწადი. გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ აბიტურიენტთა გამოკითხვების საფუძველზე გამოქვეყნდა ყველაზე მოთხოვნადი უნივერსიტეტების სია, რომლითაც ჩვენი უნივერსიტეტი მეშვიდე ადგილზეა, ეს თითოეული ჩვენგანის ძალისხმევით გახდა შესაძლებელი. დავიწყეთ და მომავალ წელსაც გავაგრძელებთ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწესრიგებასა და სრულყოფას. 2014 წელს შეიქმნა და შესაბამისი აპარატურით აღიჭურვა ქიმიის, ბიოლოგიის, მედიცინისა და სხვა მიმართულებების ლაბორატორიები.

2015 წელი უნივერსიტეტისათვის საიუბილეოა. იგი დაარსებიდან 80 წლისთავს აღნიშნავს, რაც მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თარიღია თითოეული ჩვენგანისათვის. უნივერსიტეტი გეგმავს ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნას, რისთვისაც მთელი წლის განმავლობაში იგეგმება კულტურული და სამეცნიერო ღონისძიებები. მომავალი წელი პროგრამული აკრედიტაციის წელიცაა და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი ერთად შევძლებთ მისი წარმატებით გავლას. კიდევ მრავალი საუნივერსიტეტო სიახლე გველოდება, რომელზეც უფრო დაწვრილებით სხვა დროს ვისაუბრებთ.

დასასრულს, მინდა თითოეულ სტუდენტს, თანამშრომელს, პროფესორ-მასწავლებელს და უნივერსიტეტის ყველა გულშემატკივარს მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი, ვუსურვო წინსვლა, გამარჯვება, გახარება და დღეგრძელობა ქვეყნის, ჩვენი კუთხისა და უნივერსიტეტის სასიკეთოდ. ჯანის სიმრთელე და სიკეთე დაგებედოთ თქვენ და თქვენს ოჯახებს!!!

ალიოშა ბაკურიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

გილოცავთ 2015 წლის შემოგრძანებას!

ახალგაზრდებო! ახალ წელი თითოეული ჩვენგანისთვის განსაკუთრებული დღესასწაულია, რადგან უკავშირდება ახალ ოცნებებს, იმედს — უკეთესი ხვალინდელი დღისა, ჯანმრთელობას, ხვავს, ბარაქას, ჩვენი ოჯახებისა და ქვეყნის კეთილდღეობას.

მოგეხსენებათ, რომ მსოფლიოს განვითარების პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს განათლების სისტემას. ჩვენს სახელმწიფოს აქვს იმის პრეტენზია, რომ მოწინავე ქვეყნების რიგებში ჩადგეს, ამიტომ გამორჩეულ ყურადღებას უთმობს განათლების სფეროს და მას პრიორიტეტულ მიმართულებებად აცხადებს.

გულწრფელად მიხარია, რომ განვლილ პერიოდში ნაწილობრივ მაინც შევძელით ახალგაზრდებისთვის უკეთესი პირობები შეგვექმნა სწავლისა და შემოქმედებითი საქმიანობისთვის. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ სასიკეთო ცვლილებებისა, რაც ჩვენ დავისახეთ მიზნად.

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კვლავაც ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი სტუდენტებს ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენაში. ჩვენი მიზანია თქვენ გახდეთ სამართლიანი სამოქალაქო საზოგადოებისა და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს მშენებლობის აქტიური მონაწილენი. მოგიწოდებთ, რომ ერთად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის, სტაბილური სოციალური გარემოს ჩამოყალიბებისა და ერის ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასათვის.

გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას გისურვებთ!

პატივისცემით, გიორგი თავამაიშვილი
აჭარის ა.რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

მინდა დამდეგი შობა-ახალი წელი მოგილოცოთ და წარმატებები გისურვოთ. თქვენში არსებობს ის ძალა და პოტენციალი, რომელიც აუცილებელია საქართველოს მომავალი კეთილდღეობისთვის, ამ პოტენციალს შეუძლია თავისი სიტყვა თქვას ჩვენი ქვეყნის განვითარების და გაძლიერების საქმეში. თქვენ უნდა შექმნათ ახალი ერა საქართველოს ისტორიაში სამშობლოს სიყვარულით, ახალი პროექტებითა და პროგრამებით, თანამედროვე ხედვით, უფლის რწმენით.

მომავალი წელი სურვილებისა და მისწრაფებების ახდენის წელი ყოფილიყოს, თქვენი მიზნები, რომელთა განხორციელება ვერ მოხერხდა 2014 წელს, 2015 წელს განხორციელებულიყოს, მომავალში კი, გისურვებთ გამხდარიყავით თქვენი საქმის უბადლო მცოდნენი და ეს ცოდნა, გამოგეყენებინოთ ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისთვის.

პატივისცემით, გიორგი ერმაკოვი
ქალაქ ბათუმის მერი

ჩემს მშობლიურ, 80 წლოვან უნივერსიტეტს, მის თითოეულ სტუდენტსა და თანამშრომელს, ყველას, ვისაც უხარია ჩვენი წარმატება, მინდა მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი. ეს დღესასწაული ძველის შეფასებისა და ახლის მოლოდინისაა. მინდა ვთქვა, რომ გასული წელი თავისი სასწავლო პროცესით წარმატებული გახლდათ, მაგრამ მომავალი ახალი მიღწევებისა უნდა იყოს, რაც თითოეული ჩვენგანის თანადგომით მიიღწევა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, დღეგრძელობასა და წარმატებებს გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს.

ირაკლი ბარამიძე,
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში,
ასოცირებული პროფესორი

ძვირფასო კოლეგებო,
სტუდენტებო, მეგობრებო!

გილოცავთ დამდეგ, 2015 წელს, ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, სიმრავლე, სანუკვარი ოცნებების ახდენა დაგვბედებოდეს...

გაგვემდიდრებინოს ჩვენი დიდი ოჯახის — უნივერსიტეტის მატიანე ახალი, შთამბეჭდავი გამარჯვებებით, ერთიანობის სულისკვეთებით და სიყვარულით.

ნათია წიკლაშვილი,
პროფესორი, ბსუ-ს რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ახალ, 2015 წელს გილოცავთ!

წარმატებულ და იმედის მომცემ წელს გისურვებთ!

დღეს მნიშვნელოვანია - გონებაგახსნილი, მოქნილი, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედი, რისკიანი, მოტივირებული, კომუნიკაბელური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადება. სწორი არჩევანის გაკეთების უნარი, საუკეთესოთა გამორჩევა და გამორჩეულთა სწორი მოტივირებაა საჭირო.

დღეს -სწორედ დღევანდელ დღეს ნიშნავს და არა ხვალინდელს. ხვალ უფრო რთული და დინამიური გარემო გელით. დრო აღარ ითმენს - მომავალი წარმატება ახლა და აქ იქმნება! და როგორი იქნება ის, თქვენზეა დამოკიდებული.

2015 წელი წარმატებული იქნება და ყოველი ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ამ წარმატებაში.

როსტომ ბერიძე
ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ძვირფას კოლეგებს, - პროფესორებს, სტუდენტებს გულითადად ვულოცავ დამდეგ კალანდობას, ახალ 2015 წელს.

ახალი წელი სიკეთის, სიუხვის, წარმატებების მომტანი ყოფილიყოს სრულიად საქართველოსათვის, თქვენთვის, ჩემო ძვირფასებო.

ბათუმის უნივერსიტეტის მნიშვნელობა განსაკუთრებულია ქართული განათლებისა და მეცნიერების სივრცეში. იგი შესანიშნავად მემკვიდრეობს განათლებით გაბრწყინებული ისტორიული სამხრეთ საქართველოს კულტურულსა და საგანმანათლებლო ტრადიციებს. მოხარული ვარ, რომ ბათუმის უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ნაყოფიერი ურთიერთთანამშრომლობაა დამყარებული და თავისი წვლილი ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტსაც შეაქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ იოსებ სანიკიძის ძალისხმევით გაღრმავებული თანამშრომლობა ჟურნალისტიკამცოდნეობის მიმართულებით - ჟურნალისტიკის სპეციალობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავებისა თუ დოქტორანტურის გზით მომავალი პროფესორების მომზადების თვალსაზრისით.

გვეამაყება, რომ ამჟამად ჩვენთან დოქტორანტურაში მომზადებას გადიან შესანიშნავი, ნიჭიერი და მიზანმიმართულად მოტივირებული დოქტორანტები: ირინე ცინცაძე, ნესტან მამუჭაძე, თამარ ორაგველიძე, ნანი ქამაშიძე, ფატიმა კახიძე, ნინო დოლიძე... ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწავლასაც წარმატებით გაასრულებენ და აქტუალური სადისერტაციო ნაშრომებით გაამდიდრებენ ქართულ ჟურნალისტიკამცოდნეობას, ხოლო ბათუმის უნივერსიტეტში კიდევ უფრო გაამყარებენ „ჟურნალისტიკის" სპეციალობას.

ძვირფასო კოლეგებო, კიდევ ერთხელ გილოცავთ კალანდობას, ახალ წელს. ფეხბედნიერი, სიკეთის, ხვავისა და ბარაქის მომტანი ყოფილიყოს თქვენთვისა და თქვენი ოჯახებისათვის.

თემურ ჯაგოდნიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი

საუკეთესო სურვილებით მინდა მივულოცო შობა—ახალი წელი გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის" მკითხველს, ჩვენს ახალგაზრდებს. სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი — 2015 წელი თითოეული ჩვენგანისთვის. დარწმუნებული ვარ, თქვენი მაღალი განათლებით, ინოვაციებით და საერთო ძალებით ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო ლამაზი და წარმატებული გახდება.

ეს წელი ყოფილიყოს თქვენთვის და ჩვენი ქვეყნისთვის წარმატებების, ეკონომიკური აღმავლობის, სტაბილურობისა და უკეთესი მომავლის წელი.

საუკეთესო სურვილებით,

ირაკლი ჭეიშვილი
ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარე

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და თითოეულ სტუდენტს ვულოცავ ახალ წელს. გისურვებთ, რომ ახალი წელი ყველასთვის ბევრი სიკეთის, სიხარულის, დღეგრძელობისა და წარმატების მომტანი იყოს. 2015 წელს ცოდნის ტაძარს ბევრ ინოვაციურ პროექტს, საინტერესო სამეცნიერო ნაშრომს და შინაარსიან აკადემიურ წელს ვუსურვებ. უმაღლეს სასწავლებელს კიდევ არაერთი წარმატებული სტუდენტი გაეზარდოს, რაც სამომავლოდ ჩვენი ქვეყნის ძლიერი მომავლის საფუძველი იქნება".

საუკეთესო სურვილებით
დავით ბალაძე
ა. რ. ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი

ტექნოლოგიური ფაკულტეტის სახელით ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, მასწავლებლებს, დამხმარე პერსონალს! ვუსურვებ მათ ჯანმრთელობას და სურვილების ასრულებას! ჩვენი უნივერსიტეტი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, დიდია თანამედროვე მოთხოვნები ზოგადად უნივერსიტეტების მიმართ და ამ მოთხოვნების შესასრულებლად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რომელიც ჩვენს უნივერსიტეტს, უდავოდ გააჩნია. დამდეგი 2015 წელი საიუბილეო წელია ჩვენი უნივერსიტეტისათვის და ვისურვებდი, რომ მან დაიმკვიდროს წარმატებული ადგილი არა ამარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს საუკეთესო სასწავლებლებს შორის.

ბედნიერ ახალი წელსა და შობას, ულევ სიხარულს, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, წინსვლასა და წარმატებებს გისურვებთ!

პატივისცემით,

გიზო ფარცხალაძე
ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი



კიდევ ერთი ახალი წელი დგება ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებაში. 2015 წელს ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტი იუბილარია, მას დაარსებიდან 80 წელი უსრულდება, ეს ჩვენთვის სიამაყეცაა და ამასთანავე დიდი პასუხისმგებლობაც. მომავალი წელს პროგრამული აკრედიტაციის ახალი ეტაპი გველოდება და ყველამ ერთად კიდევ ერთხელ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი პროფესიონალიზმი და მაღალი აკადემიური დონე, ერთად უნდა ვიზრუნოთ სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის.

ამ სადღესასწაულო დღეებში თითოეულ სტუდენტს, აკადემიურ პირსა და უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს მინდა მივულოცო დამდეგი ახალი წელი, ვუსურვო ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება და წარმატებები პროფესიულ ასპარეზზე.

მერაბ ხალვაში,
უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი,
ასოცირებული პროფესორი

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი 2014 წლის ანგარიში

როგორც მოგეხსენებათ, სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა საინიციატივო ორგანიციატივო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო პროექტებს და ზრუნავს სტუდენტთა სამეცნიერო -კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრში გაერთიანებულია როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურისა და დოქტურანტურის საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი უკვე 5 წელია ფუნქციონირებს ჩვენს უნივერსიტეტში. 2014 წლიდან მისი ხელმძღვანელია ფინანსების სპეციალობის IV კურსის სტუდენტი გვანცა თურმანიძე, ადმინისტრაციის მხრიდან კი ლაშა ბაჟუნაიშვილი. ხოლო უკვე სექტემბრიდან ადმინისტრაციის მხრიდან მერაბ მერგელიშვილი ხელმძღვანელობს.

გთავაზობთ სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის 2014 წლის ანგარიშს:

8 თებერვალი წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი ინტელექტუალური თამაში — სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით 2014 წლის 8 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში გაიმართა წმ. მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილი " რა? სად? როდის? " ტიპის ინტელექტუალური თამაში, რომლის მხარდამჭერებიც იყვნენ ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევითი ინსტიტუტი, ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია, ბოტანიკური ბაღი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმის 26 საჯარო და კერძო სკოლის 110 ზე მეტმა მოსწავლემ. კომპეტენტური ჟიურის შეფასებით I ადგილი #9 საჯარო სკოლის გუნდს "მამულიშვილნი" ერგო, II ადგილი შ.პ.ს. მასტერკლასის გუნდმა "მასტერკლასმა" მოიპოვა, ხოლო III ადგილი კი სამმა გუნდმა გაიყო.

გამარჯვებულებს მხარდამჭერებისგან გადაეცათ წიგნები, ხატები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

25 თებერვალი - საბჭოთა ოკუპაციის დღე — სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრისა და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით 2014 წლის 25 თებერვალს გაიმართა საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი ღია ლექცია, რომელსაც გაუძღვა პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი. ლექციის შემდგომ გაიმართა დისკუსია.

21 მარტი — ტყის დაცვის საერთაშორისო დღე- ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ტურიზმის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის და აგრარული მიმართულების 50 სტუდენტს უმასპინძლა, სადაც მათ ჩაუტარდათ ტრენინგი.

აღნიშნული ღონისძიების ერთ-ერთ მხარდამჭერს წარმოადგენდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

16 მარტი - 22 მარტი —"ფრანკოფონია 2014" — 16.03.2014 - 22.03.2014 პერიოდში ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტისა და სკოლა-ლიცეუმის "ევრო 2000" —ის ერთობლივი პროექტის ფარგლებში გაიმართა "ფრანკოფონია 2014", პროექტის მიზანია ფრანგული ენისა და კულტურის პოპულარიზაცია აჭარაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის პოპულარიზაცია. პროექტში მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტები, ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის VIII, IX, X, XI და XII კლასის მოსწავლეები. ასევე აჭარის განათლების ფონდის ფრანგული ჯგუფის მსმენელები.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა რეგიონალური კონკურსი ფრანგულ ენაში (ტესტირება), კონფერენცია თემაზე "საფრანგეთის კულტურა, ისტორია და ცივილიზაცია", პრეზენტაცია ფრანგულოენოვან ქვეყნებში სტაჟირების შესახებ — "ევროოდიესა". ფრანგული ფილმების ჩვენება.

აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ მხარდამჭერს წარმოადგენდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

9 აპრილი — 1989 წლის 9 აპრილი — 9 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში 1989 წლის 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. გაიმართა კონფერენცია თემაზე "9 აპრილი სისხლით დამძიმებული თავისუფლება", ასევე ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოების ჩვენება. დაღუპული გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლემბა დაანთეს სანთლები, ზღვისპირა პარკში გაუშვეს მანათობელი ფრანები და მემორიალი შეამკეს ტიტებით.

პროექტის ერთ-ერთ ორგანიზატორს წარმოადგენდა სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი.

18 აპრილი — ძეგლთა და ისტორიულ ადგილთა დაცვის საერთაშორისო დღე — ძეგლებისა და ღირსშესანიშვნავი ადგილების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით ესეების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის უფროსკლასელებმა. ღონისძიების მიზანი იყო ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია და ცნობიერების ამაღლება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებზე წარმოდგენილ 30 ესეს შორის კომპეტენტურმა ჟიურიმ 7 საუკეთესო გამოავლინა, რომელთაც მხარდამჭერებისგან გადაეცათ საჩუქრები და ისინი გაემგზავრნენ ერთდღიანი შემეცნებითი ტურით სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოინახულეს ვარძია და რაბათის ციხე.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: ა.ა.რ. კულტურული მემკვიდრეობისა და ძეგლთადაცვის სააგენტო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახური და სტუდენტური თვითმმართველობა.

26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე — 2014 წლის 22 მაისს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრისა და ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი მიძღვნილი კონფერენცია. ისტორიის სპეციალობის II კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს მოხსენებები 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე. დეპარტამენტიდან სამეცნიერო თემებს უხელმძღვანელა პროფესორმა ოთარ გოგოლიშვილმა.

რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი — 5-9 მაისი ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა რეფერატულ ნაშრომთა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენივე უნივერსიტეტის 120 —მდე პირველკურსელმა. მოხსენებების განხილვა მიმდინარეობდა 17 სექციაში.

სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია — 19-26 მაისის ჩათვლით ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტში მიმდინარეობდა სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენივე უნივერისტეტი II, III, IV კურსის სტუდენტებმა და ამავდროულად რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებულმა I კურსის სტუდენტებმა. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე სტუდენტმა. კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობდა 21 სექციაში.

30 ნოემბერი — შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღე - სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ორგანიზებით 30 ოქტომბერს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გაიმართა გარემოს დაცვასთან დაკავშირებული კონფერენცია, სადაც მოხსენებები წარმოადგინეს სტუდენტებმა, ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა "ტრანსპორტი და ატმოსფერული ჰაერის მდგომარეობა საქართველოში", "სურსათის უვნებლობის კონტროლი საქართველოში", "წვენების ნატურალიზაციის განსაზღვრა" და სხვა. კონფერენციის შემდგომ გაიმართა დისკუსია, რომელშიც დამსწრე საზოგადოება (სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები) აქტიურად იყვნენ ჩართული. გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემები და სტუდენტებმა დააფიქსირეს აზრი მათი გადაჭრის გზების შესახებ.

სტუდენტთა საერთაშორიო დღე- 17 ნოემბერს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრმა სტუდენტთა საერთაშორისო დღე მიულოცა სრულიად საქართველოს სტუდენტებს და მათ წარმატებული და აქტიური სტუდენტობა უსურვა.

მისალმების საერთაშორისო დღე - 21 ნოემბერს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრმა მისალმების საერთაშორისო დღე უნივერსიტეტში ბანერების განთავსებით და სოციალურ ქსელში ფოტოების გავრცელებით აღნიშნა. წარმოდგენილ იქნა 16 ქვეყნის მისალმება თავისი დროშითა და სიმბოლიკით.

მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (ქედა) - 22 ნოემბერს სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახურის, უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის "მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე" — ფარგლებში მოეწყო ქედის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დათვალიერება, სახალხო ზეიმზე "ქედელობა" დასწრება და მონაწილეობის მიღება, ზენდიდის ციხის დათვალიერება და ციალა ბეჟანიძის წიგნის "ზენდიდის ციხე" განხილვა, სადაც პროფესორებთან ერთად სტუდენტებმაც გააკეთეს მოხსენებები ზენდიდის ციხის ისტორიის და ბეჟანიძეთა საგვარეულოს შესახებ.

მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე (გურია) - 29 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახურის, უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ერთობლივი პროექტის "მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე"გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია გურიაში, კერძოდ, კი ოზურგეთში, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებთან ერ|თად. კონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაიხსენეს შალვა რადიანი, როგორც, დიდი ქართველი კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტრორი, პროფესორი. კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილ იქმნა მოხსენებები გურია-აჭარის ისტორიულ ურთიერთობების შესახებ.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი კვლავ აპირებს მსგავსი ტიპის ღონისძიებების განხორციელებას, ასევე გეგმავს სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციას და მოუწოდებს სტუდენტებს მეტი აქტიურობისკენ. სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი გაძლევთ შანსს მიიღოთ ძალიან დიდი გამოცდილება, განივითაროთ სამეცნიერო კვლევითი და ლიდერული უნარ-ჩვევები, შეიძინოთ მეგობრები და მრავალი სხვა. ცენტრს გააჩნია თავისი FB-გვერდი და ასევე უნივერსიტეტის გვერდზე განთავსებული ინფორმაციით შეგიძლიათ გაიგოთ მეტი სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის საქმიანობის შესახებ.

სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი

ღვაწლი საჩინო

რომან ზოსიძე დაიბადა 1934 წის 5 ოქტომბერს შუახევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში. 1953 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის (მაშინ ი.ბ. სტალინის სახელობის) სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოსოფიის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1958-59 სასწავლო წელს რ. ზოსიძე მუშაობდა შუახევის რაიონის ტბეთის საშუალო სკოლაში ისტორიისა და გერმანული ენის მასწავლებლად, ხოლო 1959-60 სასწავლო წელს — ამავე რაიონის დღვანის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1961-1969 წლებში იგი იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე ხულოსა და შუახევის რაიონებში.

1969 წელის სექტემბრიდან რ. ზოსიძე სამუშაოდ გადმოვიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლა უნივერსიტეტში) და დაიწყო ლექციების კითხვა ფილოსოფიასა და რელიგიათმცოდნეობაში; სხვადასხვა დროს მიჰყავდა ისეთი სალექციო კურსები, როგორიცაა ფილოსოფიის შესავალი, ზოგადი ფილოსოფია, ანტიკური ფილოსოფია, აღორძინების ეპოქისა და ახალი დროის ფილოსოფია, გერმანული კლასიკური ფილოსოფია, სპეცკურსი ჰეგელის ფილოსოფიაში, რელიგიის ისტორია, რელიათმცოდნეობის შესავალი, რელიგიის ფილოსოფია.

1981 წლის ივნისში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად რ. ზოსიძემ წარადგინა დისერტაცია აჭარის სოფლის მოსახლეობის რელიგიურობის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის მასალების მიხედვით და მას მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1978 წელს ბათუმში გამოქვეყნდა რომან ზოსიძის მონოგრაფია — „ისლამი, მორწმუნე, თანამედროვეობა.“ მას წინ უსწრებდა „აჭარის სოფლის მოსახლეობის რელიგიურობის კონკრეტული კვლევის ზოგიერთი შედეგი (გამოქვეყნდა კრებულში: „სამხრეთ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხები“, ბათუმი, 1975 წ.). ამ სახის გამოკვლევები მაშინ პირველად ტარდებოდა და დიდ ინტერესს იწვევდა მეცნიერულ და ოფიციალურ წრეებში. ბატონ რომანს მიაჩნია, რომ კვლავაც უნდა გაგრძელდეს ასეთი მუშაობა შეცვლილ პირობებში (იგულისხმება საბჭოთა წყობილების დემონტაჟი და კომუნისტური იდეოლოგიის გაუქმება, რაც მიუკერძოებელი, ობიექტური მეცნიერული მუშაობის პირობებს გვიქმნის). აქ პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ მოხდა აჭარის სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიბრუნება მამაპაპისეული რწმენისაკენ, მართლმადიდებლობისკენ. ამის გამოკვლევა და ჭეშმარიტი სურათის წარმოჩენა ერთობ აქტუალური საქმეა ამჟამად. როგორც ჩვენ გავიგეთ, ბატონი რომანი მზად არის იტვირთოს ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა. მანამდე კი მან მიზანშეწონილად ჩათვალა იკვლიოს რელიგიისა და ადამიანის, რელიგიისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ნაშრომი: „რელიგიისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის.“

ეს ნაშრომი გამოქვეყნებულია შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემულ კრებულში — „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ტ.I, 2009. აქ ავტორი აღნიშნავს იმის შესახებ, რომ ისტორიულად კულტურის ქმნილებანი ჩნდებოდა არა მარტო მატერიალურ, არამედ სულიერ სფეროშიც. კულტურის ასეთი გაგებიდან ნათელი ხდება, რომ რელიგია განხილული უნდა იქნას როგორც ადამიანის კულტურის ელემენტი, რომელიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში სულიერი კულტურის სისტემაში თამაშობს არსებით, ხოლო ზოგჯერ, დომინირებულ როლს (მაგალითად, შუა საუკუნეებში). რელიგია, ისე როგორც მორალი, ხელოვნება, ფილოსოფია, უფრო ადრე კი მითოლოგია, განეკუთვნება სულიერი კულტურის სფეროს. რელიგია არის საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა და კულტურის მოვლენა, უფრო სწორად — ადამიანის სულიერი კულტურის გამოვლენა. რელიგისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების მართლმადიდებლური კონცეფცია ჩამოყალიბდა აღმოსავლური ქრისტიანობის ჩარჩოებში, კერძოდ ბიზანტიაში. ამ კონცეფციაში მთავარი ადგილი ეთმობა ღმერთსა და ადამიანის, ღმერთისა და სამყაროს დამოკიდებულების გარკვევას. მართლმადიდებლობა და მთლიანად ქრისტიანობა, აქ წარმოჩენილია როგორც ადამიანის სულიერი ცხოვრების ბალავარი. შემდეგ ბატონი რომანი აღნიშნავს, რომ ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რელიგიური ხელოვნების ძეგლებს, რომლებიც ხასიათდებიან პოლიფუნქციონალობით, რაც გამოიხატება არა მარტო რელიგიური, არამედ ისტორიულ-მხატვრული შინაარსით. ამას ივიწყებდნენ საბჭოთა პერიოდში, კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს, რის გამოც მხოლოდ რელიგიური თვალსაზრისით, ცალმხრივად, აფასებდნენ წარსულში აგებულ საკულტო შენობებს, რითაც იჩრდილებოდა მათი როგორც მხატვრული კულტურის დიდმნიშვნელოვანი ძეგლების ისტორიული ღირებულება, უფრო სწორად, პირველ მხარეს (პირველ აგებას) ეწირებოდა მეორე. ასეთი მიდგომა-შეფასების შედეგად გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ბევრგან საკულტო შენობები გაანადგურეს (დაანგრიეს) ზოგან კი სხვა დანიშნულება მისცეს. ეს იყო ჩვენი უახლოესი ისტორიის საცოდაობა. ამ ნაშრომის ბოლოს ბატონი რომანი აკეთებს ასეთ დასკვნას: რელიგიისა და კულტურის ურთიერთკავშირის საკთხი, საბჭოთა ეპოქაში ტაბუდადებულ თემას რომ წარმოადგენდა, თანამედროვე პირობებში ერთობ აქტუალურ თემად იქცა ფართო მასშტაბით რელიგიის დადებითი როლის წარმოსაჩენად კაცობრიობის სულიერი ცხოვრების, მეტადრე სულიერი კულტურის განვითარებაში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია რომან ზოსიძის ნაშრომი: „სიყვარულის არსება — ფილოსოფიური განსჯის საგანი“. აქ ავტორი აღნიშნავს, რომ სიყვარული მრავლის მომცველი და მარვალმნიშვნელოვანი ცნებაა. ადამიანს უყვარს თავისი ახლობელი, ოჯახი, ბავშვები, მეგობრები, საშობლო, ბუნება და სხვა. არსებობს ცხოველმყოფელი ანუ ქმედითი სიყვარული, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულ ობიექტებზე. არსებობს აგრეთვე ზოგად ობიექტებზე ორიენტირებული სიყვარული, რომელიც აბსტრაქციულად დგინდება: არავის არაფერს ავალებს და თვითონაც არ არის დავალებული. ასეთია მაგალითად კაცობრიობის, ან ბუნების სიყვარული. მაგრამ ადამიანის ცნობიერებაში ყველაზე მეტად გაბატონებულია ქალისა და მამაკაცის სიყვარული. შემდეგ ბატონი რომანი აღნიშანვს, რომ ყოველდღიური ჩვეულებრივი გრძნობები, აზრები ყველა ეპოქისა და ეროვნების, კლასისა და ფენის, პროფესიისა და ასაკის ადამიანთა სიყვარულით გაჯერებული ქცევები შეადგენენ ხელოვნებისა და ლიტერატურის მასაზრდოებელ წყაროს. სწორედ აქედან ღებულობს სიყვარული სისტემურ ხასიათს. მაგრამ სისტემურ ხასიათს სიყვარულს კერძო მეცნიერება ვერ მისცემს თავისი ცალმხრივი პოზიციის გამო. ამ მიმართულებით გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს ფილოსოფიას, მისი მრავალმხრივი წახნაგებითა და ასპექტებით. სიყვარულის ფილოსოფიური ანალიზი, პირველ ყოვლისა, ეს არის მისი წარმოჩენა როგორც ადამიანური ყოფის ძირითადი წყაროსი. სიყვაროული აქ გააზრებულია როგორც ადამიანური ყოფის პირველსაწყისი, ანუ ადამიანის ყოფიერი მდგომაროების არსება. უფრო მეტიც, სიყვარული აქტიური ძალაა, რომელიც ანგრევს ერთი ადამიანის მეორისგან გამყოფ კედელს. იგი ეხმარება ადამიანს დაძლიოს იზოლაციის და მარტოსულობის გრძნობა. სიყვარულში რეალიზებულია პარადოქსი — ორი არსება იქეცვა ერთად, იმავდროულად ისინი ორია. ამასთანავე სიყვარული არის ადამიანური თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინება. ადამიანს შეიძლება ბევრი რამ დაავალო და იძულებით აკეთებინო: იმუშაოს, იქურდოს, ჩაიდინოს სხვა სახის ქმედებანი, მაგრამ სიყვარულს ვერ დაავალებ; ვერც სხვას, ვერც თავისთავს ვერ დაავალებ სიყვარულს. სიყვარული თავისუფალი ინიციატივის საქმეა, ის თავისი თავის საფუძველია. აქ ჩანს აგრეთვე სიყვარულისა და გონების განუყოფელი კავშირი. როგორც გონება, ისე სიყვარულიც თავისუფალია, უნივერსალურია. ამის გამო მხოლოლ იქ, სადაც არის გონება, ბატონობს საყოველთაო სიყვარული; გონება უნივერსალური სიყვარულია. ეს განაპირობებს აგრეთე სიყვარულისა და თავისუფლების ერთიანობას. ასეთია, მოკლედ, სიყვარულის არსების ფილოსოფიური გაგება ბატონ რომან ზოსიძის ზემოთდასახელებულ ნაშრომში (გამოქვეყნებულია ჩვენი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყოველწლიური შრომების სერიაში, ტომი VII, ბათუმი, 2005 წ.)

ბატონი რომანის მეცნიერული ნაღვაწის დაწვრილებით განხილვას აქ აღარ გავაგრძელებთ, თანაც, როგორც ზემოთ დავინახეთ იგი უმთავრესად ფართო მასშტაბის თემების განხილვით არის დაინტერესებული. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი, რომელიც ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, ეძღვნება ეკოლოგიის პრობლემებს, კერძოდ, მწვანე საფარისა და ლანდშაფტის დაცვას. ნაშრომის სათაურია: „ჩავაქროთ ტყეს მოდებული ცივი ხანძარი“ (ჟურნალი „ჭოროხი“, # 3, 2014). ეს ნაშრომი, ძირითადად, მაღალმთიანი აჭარის ლანდშაფტს და ტყის საფარს ეძღვნება.

აქ ბატონი რომანი აღნიშნავს, რომ მაღალმთიან აჭარაში ისტორიულად ჩამოყალიბდა ტყის მარვალმხრივი მოხმარების ტრადიცია, თუმცა ტყის საფარი დღევანდელობის მსგავს საგანგაშო მდგომარეობაში არასოდეს ჩავარდნილა. ეს განაპირობა ერთი მხრივ იმან, რომ წინა საუკუნეებში მთის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შესაბამისად ოჯახებიც ბევრი არ იყო; ამიტომ მოხმარებული ტყის აღწარმოება დროულად და ადვილად ხდებოდა. მეორე მხრივ, მაშინ არ იყო ტყის განადგურების ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორიც ამჟამად არის (ბენზოძრავიანი ხერხი, ტრაქტორი, ავტომანქანა, მტვირთავი ამწე).

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე მთიან აჭარაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის რაოდენობა. ბუნებრივია ამას მოჰყვა ტყით სარგებლობის მასშტაბის გაზრდა. შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა იმით, რომ ტყე მოსახლეობის შეშით ან სამშენებლო მასალით მომარაგების საშუალებიდან ყიდვა-გაყიდვისა და ბიზნესის საშულებადაც იქცა. წინა წლებში ამ გზით ბევრი შეშა და სამასალე მერქანი გაედინებოდა თურექთში. ტყის უკანონო განადგურებაში მოსახლეობაც სცოდავს: ხეებს ჭრიან იქ, სადაც ადვილად მისასვლელია და არა იქ, სადაც ოფიციალურად არის ტყეკაფი გამოყოფილი. ამის გამო ზემო აჭარის მთელ რიგ სოფლებში ახლა ასეთი სურათია: სადაც გზა მიდის, იქ ტყე აღარ არსებობს; ტყე მხოლოდ მიუვალ ტერიტორიაზეა შენარჩუნებული.

შემდეგ ბატონი რომანი აღნიშანვს, რომ ტყეს მოდებული ცივი ხანძარი მარტო ლაპარაკით არ ჩაქრება. საჭიროა გადაიდგას პრაქტიკული ნაბიჯები განადგურებული ტყეების აღსადგენად და დამყარდეს სრული წესრიგი გადარჩენილი ტყეკაფების კანონიერი მოხმარებისათვის. მთიანი აჭარის ტყეების განახლებისა და გადარჩენის საუკეთესო საშუალებაა მოსახლეობის უზრუნველყოფა გაიაფებული გაზითა და ელექტროენერგიით. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია და ახლო მომავალში აჭარის სოფლის მოსახლეობას გაზი და ელექტროენერგია უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ტყეკაფიდან შეშის მოტანა. ამით აჭარის ტყე შვებით ამოისუნთქავს და ის არასოდეს განადგურდება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აჭარის ხელისუფლება ამის მისაღწევად ყველაფერს გააკეთებს.

1981-1991 წლებში ბატონი რომანი მუშაობდა ისტორიათ-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო-სააღმზრდელო და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა, განმტკიცდა სასწავლო და შრომის დისციპლინა. ბევრმა სტუდენტმა გზა გაიკვლია მეცნიერებისაკენ. ისინი ახლაც ნაყოფიერად მუშაობენ უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გაერთაც.

ბოლო ათწლეულებში ბატონი რომანის მუშაობა ძირითადად წარიმართა ფილოსოფიაში, ფილოსოფიის ისტორიასა და რელიგათმცოდნეობაში ლექციების ახალი კურსების დამუშავებით, ამ საგნებში ახალი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენით, წლიური სამეცნიერო-საკვლევი თემების შესრულებით, სტუდენტების მომზადებით სამეცნიერო კონფერენციებზე მოხსენებების წასაკითხად და სხვ.

ერთი სიტყვით, 45 წლის მანძილზე რომან ზოსიძის მოღვაწეობა ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში მეტად ნაყოფიერი და თვალსაჩინოა. ამის გათვალისწინებით იგი დაჯილოებულია ღირსების ორდენით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო სიგელებით. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს სხვა ჯილდოებიც.

2014 წლის იანვრიდან ფილოსოფიის დოქტორი რომან ზოსიძე ემერიტუსია, მაგრამ იგი კვლავ აგრძელებს საქმიან ურთიერთობას მშობლიურ უნივერსიტეტთან. ვუსურვებთ მას მტკიცე ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს ცხოვრებაში.

მიხეილ მახარაძე,
პროფესორი
ვარდო ბერიძე,
ასოცირებული პროფესორი

ბატონი რომან ზოსიძე

მიფრინავენ წლები, ვისთვის როგორორ და ვისთვის როგორ. აი, რომან ზოსიძეს კი 80 წელიწადი ნაყოფიერ შრომაში, კაცურად განვლილ ცხოვრების გზაზე წამოეპარა. პირადობის მოწმობას რა ვუყოთ, თორემ, სხვა მხრივ არაფრით ჰგავს ოთხმოციანს.

რომან ზოსიძის კაცობაზე მხოლოდ მისი საქმეებით შეიძლება ვიმსჯელოთ. მუყაითობა დედის უბიდან დაჰყვა, თითქოს. ის შუახევის რაიონის სოფელ ჯაბნიძეებში დაიბადა. 1953 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ორადორი „ოთხიანი“ ჩანს მისი დიპლომის დანართში, დანარჩენი სულ ფრიადებია. ყველაზე უფრო საქვეყნოდ სახელგანთქმული პროფესორების კოტე ბაქრაძისა და სავლე წერეთელის „ფრიადები“ მეამაყებაო, იტყვის ხოლმე, როცა უნივერსიტეტის წლებს იხსენებს.

1958 წელს უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, მუშაობის დაწყება შესთავაზეს ბათუმის ახლაგახსნილი კულტსაგანამანათლებლო სასწავლებელში, მაგრამ უარი თქვა: 5 წელი თბილისში ყოფნის გამო ოჯახი და ახლობლები ენატრებოდა; ამიტომ მშობლიურ შუახევს მიაშურა. იქ ორი წელი სკოლაში ასწავლიდა, შემდეგ პარტიულ სამუშაოზე გადაიყვანეს. შუახევის რაიონის სოფლებში ახლაც შეხვდები მის ტოლებს და მასზე შედარებით უმცროს ადამიანებს, რომლებიც ქება-დიდებით იხსენიებენ რომან ზოსიძის პიროვნებას.

1969 წლის 1-ლი სექტემბრიდან რომან ზოსიძის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო: იგი მიიწვიეს ბათუმის პედინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრახე სამუშაოდ. მიწვევას დათანხმდა და მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას ახალ ამპლუაში. აქაც მალე მიიქცია ბევრი ადამიანის ყურადღება, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სტუდენტებისა. ამის შემდეგ, შედარებით მოკლე დროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები და შეუდგა სადისერტაციო ნაშრომის მომზადებაზე მუშაობას. 1981 წლის 12 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია აჭარის სოფლის მოსახლეობის რელიგიურობის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევის მასალების მიხედვით და მიანიჭეს ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. იმავე წლის სექტემბერში აირჩიეს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, სადაც დიდი წარმატებით მუშაობდა მეორე ვადითაც — 1991 წლამდე. თუ როგორ უძღვებოდა საქმეს და დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ბატონი რომანი, ამის დასტურად ამონაწერს მოვიშველიებ ერთი მაშინდელი დოკუმენტიდან: „ფაკულტეტზე დამკვიდრებული დადებითი ტენდენციები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია დეკანის აქტიური მუშაობით. მას უნარი შესწევს დარაზმოს და გაიყოლიოს კოლექტივი, ადვილად პოულობს საერთო ენას ლექტორ-თანამშრომლებთან და სტუდენტებთან. მისი ლექციები გამოირჩევა მაღალი იდეურობითა და პოპულარობით.“

ცალკე განხილვის საგანია რომან ზოსიძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ზოგადსაკაცობრიო აქტუალური პრობლემები. ასეთია მისი ნაშრომები: „რელიგიისა და კულტურის ურთიერთმიმართების საკითხისათვის“, „სიყვარულის არსება — ფილოსოფიური განსჯის საგანი“ და ეკოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომლებიც შედარებით ვრცლად განიხილება რომან ზოსიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მოხსენებაში.

მისი ასაკისა და დამსახურების მიხედვით ბატონი რომანი ახლა ჩვენ წარმოგვიდგება ემერიტუსის ამპლუაში, იგი დამსახურებულად ისვენებს, მაგრამ, როგორც ჩვენთვის ცნობილია, აპირებს უნივერსიტეტთან აქტიური კავშირის შენარჩუნებას და საჭიროების მიხედვით სასარგებლო საქმეების კეთებას. ბატონო რომან, გისურვებთ მტკიცე ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ღრმა პატივისცემით,

ალიოშა ბაკურიძე
უნივერსიტეტის რექტორი,
პროფესორი

ამირან მამალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემპიონატი ფუტსალში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული გმირის, ბსუ-ს სტუდენტის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან ამირან მამალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩემპიონატი ჩატარდა ფუტსალში. ტურნირი ოლიმპიური სისტემითმიმდონარეობდა და მასში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებით დაკომპლექტებული 32 გუნდი მონაწილეობდა. ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს გუნდები „NIGGAS“-ი და „ტურიზმი“ დაუპირისპირდნენ. პირველობა ანგარიშით 5:3, ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტების სასარგებლოდ დასრულდა. ჩემპიონატი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობისა და სტუდენტთა მხარდაჭერისა და მომსახურების სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

„მცენარეთა საკარანტინო ბაქტერიული პათოგენის Ralstonia solanacearum-ის ქართული შტამების სრული გენომის გაშიფვრა“



აშშ-ს სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (GRDF-Global), შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) პროგრამის „დამოუკიდებელი ექსპერტიზა და მდგრადი მეცნიერება საქართველოსთვის“ ფარგლებში გამოცხადებული „კვლევითი გრანტების პროგრამის“ კონკურსში პროექტმა „მცენარეთა საკარანტინო ბაქტერიული პათოგენის Ralstonia solanacearum-ის ქართული შტამების სრული გენომის გაშიფვრა“ გაიმარჯვა. პროექტი აშშ-ის დამოუკიდებელი ექსპერტების, დონორი ორგანიზაციების (აშშ თავდაცვისა და საფრთხის შემცირების სააგენტო - US DTRA) წარმომადგენლების შეფასების საფუძველზე დაფინანსდა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის მცენარეთა დაავადებების მონიტორინგის, დიაგნოსტიკისა და მოლეკულური ბიოლოგიის განყოფილების მკვლევრები კვლევას საბაზო ორგანიზაციის ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელებენ.

პროექტის მიზანია განსაზღვროს საქართველოში ძირითადი მცენარეული ბაქტერიული პათოგენის გენეტიკური მახასიათებლები, რათა შესაბამისად დაიგეგმოს ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით (მკურნალობა, შედეგების აღმოფხვრა და განათლება) სოფლის მეურნეობის სექტორი ამ საშიში პათოგენის მავნე ზემოქმედებისგან დასაცავად.

სტუდენტური თეატრის სპექტაკლ „ნაფტალინის“ პრემიერა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თეატრის „დასის“ სპექტაკლ „ნაფტალინის“ პრემიერა შედგა. კომედიური ჟანრის სპექტაკლი ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით რეჟისორმა როინ დვალმა დადგა და მასში სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტები მონაწილეობდნენ. „ნაფტალინი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური თეატრის რიგით მეხუთე ნაშრომია და მასზე ახალგაზრდა მსახიობები ორი თვის განმავლობაში მუშაობდნენ. პრემიერის შემდეგ, „დასის“ წევრები თბილისის საერთაშორისო ფესტივალში - „ნიღაბი 2014“ მიიღებენ მონაწილეობას. ფესტივალი „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართება.

საერთაშორისო ფესტივალის „ნიღაბი 2014“ ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლის ნომინაციაში ბსუ-ს თეატრალურმა დასმა გაიმარჯვა

საერთაშორისო ფესტივალში - „ნიღაბი 2014“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურმა თეატრმა „დასმა“ ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლის ნომინაციაში გაიმარჯვა. ბათუმელი სტუდენტები მაყურებლის წინაშე რეჟისორ როინ დვალის მიერ დადგმული კომედიური ჟანრის სპექტაკლით - „ნაფტალინი“ წარსდგნენ. კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით, ქალის საუკეთესო როლის შემსრულებლად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი ნინო გაბეჩავა დასახელდა. ფესტივალი „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ ორგანიზებით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თეატრალურ დარბაზში გაიმართა და მასში საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თეატრალურ დასებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტური თეატრებიც მონაწილეობდნენ. უნივერსიტეტი სტუდენტურ თეატრ „დასს“ ულოცავს გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

მეცნიერისა და პედაგოგის სახელოვანი გზა

(პროფესორ ნოდარ კახიძის დაბადების 85 წლისთავის გამო)

დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა თვალსაჩინო მეცნიერ-ეთნოლოგს, უმაღლესი სკოლის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტერტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსს, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნოდარ კახიძეს.

ნოდარ კახიძე დაიბადა 1929 წლის 25 დეკემბერს ბათუმის (ამჟამად ხელვაჩაურის) რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში. მან წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს ჩხუტუნეთის არასრული საშუალო სკოლა, 1950 წელს — აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1954 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი. იგი სტუდენტობის წლებში ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. 1953-1954 წლებში მონაწილეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის IX—X და საქართველოს პედინსტიტუტების სტუდენტთა V-VI რესპუბლიკურ კონფერენციებში, რომლებიც ჩატარდა გორსა და ქუთაისში, ხელმძღვანელობდა ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო წრეს, არჩეული იყო ინსტიტუტის პროფკომიტეტის შემადგენლობაში.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1954—1962 წლებში, მუშაობდა ჩხუტუნეთის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. პარალელურად ასრულებდა საზოგადოებრივ და სხვა სახის დავალებებს. ხელმძღვანელობდა ბათუმის რაიონის ისტორიის მასწავლებელთა სექციას. 1962 წელს მონაწილეობდა სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე თბილისში, სადაც წაიკითხა მოხსენება მერვე კლასში ისტორიის სწავლების საკითხებზე.

ბატონი ნოდარ კახიძე 1962-1965 წლებში სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში ეთნოგრაფიის განხრით. ამ საინტერესო სპეციალობას იგი ეუფლებოდა თანამედროვე ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას და მისი მოწაფის პროფესორ მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით, პროფესორების ვერა ბარდაველიძისა და ალექსი რობაქიძის კონსულტაციებით.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, 1965 წელს, ნოდარ კახიძე ხელშეკრულებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში. მას დავალებული ჰქონდა აჭარაზე არსებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურის დამუშავება და მასალების კარტოთეკებზე გადატანა, რომელიც განკუთვნილი იყო საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასისათვის.

1966 წლის სექტემბრიდან დღემდე მუშაობს 1958 წელს დაარსებულ ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1979 წლიდან ეთნოლოგიის განყოფილების უცვლელი ხელმძღვანელია. 2011 წლიდან, როდესაც ინსტიტუტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა, განყოფილებას ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილება ეწოდება.

1967 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ნოდარ კახიძემ წარმატებით დაიცვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი თემაზე „აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა)". სადისერტაციო თემაზე მუშაობისათვის მას რეკომენდაცია მისცა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, რომელსაც მაშინ ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ნიკოლოზ ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა. ნ.კახიძის აღნიშნულ საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომს სამეცნიერო საბჭომ დისერტაციის რეცენზენტთა დასკვნის საფუძველზე მაღალი შეფასება მისცა. მთავარი რეცენზენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩიტაია წერდა: „ნოდარ კახიძის ნაშრომი „მაჭახლის ხეობა" სოლიდური წიგნია, რომელიც ყურადღებას იქცევს თავისი შინაარსით, ახალი მასალებისა და საკითხების ახლებურად დასმით... დისერტანტი უნარიანი და გამჭრიახი დაკვირვებული საველე მუშაკია, რომელმაც ბევრი ახალი და საინტერესო მასალა გამოავლინა და მეცნიერებას შესძინა" (გ.ჩიტაია, შრომები, V, თბილისი, 2001, გვ. 353, 356).

ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მუშაობის დღიდან იწყება ნოდარ კახიძის ინტენსიური და ნაყოფიერი მეცნიერული საქმიანობა. გამოქვეყნებული აქვს 130—ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი. მათ შორის ოთხი მონოგრაფია („მაჭახლის ხეობა" (ბათუმი, 1974); „ხელოსნობა აჭარაში" (თბილისი, 1990); „ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში" (ბათუმი, 2004); „ეტრატზე ამეტყველები ისტორია" (ბათუმი, 2013), მეცნიერული და სხვა ხასიათის მრავალი საგაზეთო სტატია. მეცნიერმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია საინსტიტუტო ეთნოლოგიური კრებულების („აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები", „აჭარის სოფელი", „აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები", სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა") მომზადებისა და გამოცემის საქმეში. დღემდე გამოცემულია ამ სერიის 24 კრებული, რომელთაგან ნახევარი მომზადდა და გამოიცა პროფესორ ალ. რობაქიძესთან მისი თანამონაწილეობით. ხოლო უშუალოდ მისივე რედაქტორობით მომზადდა და გამოიცა სამი ეთნოლოგიური კრებული („სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები"), ინსტიტუტის შრომების მეათე ტომი, ჟურნალ „მაჭახელის" 8 ნომერი, რომლებიც მიეძღვნა მაჭახლობის ყოველწლიურ სახალხო დღესასწაულს. არის 20-მდე სხვა ავტორის მიერ გამოცემული ნაშრომის რედაქტორი და რეცენზენტი, აგრეთვე რამდენიმე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის რეცენზენტი.

პროფესორმა ნოდარ კახიძემ, როგორც რედაქტორმა, ნაყოფიერი მუშაობა გასწია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეორე ტომის (მოიცავს პერიოდს მეხუთე საუკუნიდან რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომამდე) მომზადება-გამოცემაში (გამოიცა 2010 წელს). პირადად მან ათი სტატია მოამზადა ამ ტომისათვის. იგი არის აღნიშნული ოთხტომეულის სარედაქციო და საგამომცემლო საბჭოების წევრი და პასუხისმგებელი მდივანი. მისი აქტიური მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე ფერადი ფოტოალბომი „აჭარა" (2009) და ბუკლეტი „აჭარის ალპური დასახლება" (2010). დასაბეჭდად გადაცემულია ალბომი „ეთნოგრაფიული აჭარა".

ნ.კახიძე სისტემატურად კითხულობდა მოხსენებებს საქართველოს ეთნოგრაფთა სამეცნიერო ფორუმებზე (სესიები, კონფერენციები), რომლებიც იმართებოდა თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ზუგდიდში, ახალციხეში. იგი იყო ინიციატორი 1981 წელს ბათუმში ჩატარებული საქართველოს ეთნოგრაფთა მორიგი სამეცნიერო კონფერენციისა. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ინსტიტუტის ეთნოგრაფთა ოცზე მეტი ექსპედიცია აჭარაში, საქართველოს სხვა რეგიონებში (გურია, სამეგრელო, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი). ასპირანტურის წლებში (1963-1964) მონაწილეობდა დიდ კომპლექსურ ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში, რომლებიც გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, მიხეილ გეგეშიძის ხელმძღვანელობით ტარდებოდა ფშავ-ხევსურეთსა და იმერეთში. 2010 წელს ხელმძღვანელობდა პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციას თურქეთის საზღვრებში მოქცეული მაჭახლის ხეობის (ზედა მაჭახელი) სოფლებში, რომელმაც დღემდე უცნობი საინტერესო მასალები გამოავლინა.

ნოდარ კახიძემ, როგორც მაჭახლის ხეობის მკვიდრმა, პირველმა შეისწავლა ისტორიულ-ეთნოგრაფიულად მაჭახლის ხეობა, რომელმაც წარსულში ფართოდ გაითქვა სახელი საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში ხელოსნობით, კერძოდ, ცეცხლსასროლი (კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები), აგრეთვე ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით. პირველმა ფართოდ აჩვენა მაჭახლის ხეობის როლი და მნიშვნელობა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, კულტურულ და სამეურნეო ცხოვრებაში. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიასა და პროფესორ მიხეილ გეგეშიძის რჩევით ბატონმა ნოდარ კახიძემ ასევე პირველად შეისწავლა ხელოსნობის პრობლემური საკითხები ჯერ აჭარის, შემდეგ კი მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. 1990 წელს თბილისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებაში" გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „ხელოსნობა აჭარაში", ხოლო 2004 წელს გამომცემლობა „აჭარაში" დაიბეჭდა შემცირებული ვარიანტი სადოქტორო დისერტაციისა („ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), რომელიც 2001 წლის 16 ნოემბერს დაიცვა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. მასში შესწავლილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები. ნაშრომი მნიშვნელოვანი წვლილია მრავალდარგოვანი ქართული ხელოსნობის ისტორიულ-ეთნოლოგიურ შესწავლაში. ნაშრომი დარგის სპეციალისტთა მიერ აღიარებულ იქნა ქართული ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვან შენაძენად, რომელშიც პირველად განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხელოსნობის ტრადიციების ისტორიულ-ეთნოგრაფიული კომპლექსური შესწავლა.

XII-XVII საუკუნეების წერილობითი ძეგლის „ტბეთის სულთა მატიანეს" საფუძველზე მკვლევარმა შექმნა საყურადღებო გამოკვლევა „ეტრატზე ამეტყველებული ისტორია". ავტორმა ამ წიგნით მკითხველს გააცნო მატიანის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეული რეგიონების, მათ შორის მაჭახლის ხეობის ,ისტორიული წარსულის, საეკლესიო ცხოვრების, საგვარეულოთა ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, მიგრაციული პროცესების, ყოფისა და კულტურის სხვადასხვა ასპექტების შესწავლაში. წიგნი მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა აღნიშნული პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიურ ჭრილში შესწავლისათვის.

პროფესორ ნოდარ კახიძის სამეცნიერო კვლევა-ძიებაში ხელოსნობის საკითხები მთავარი საკვლევი პრობლემა იყო, რომელსაც სამ ათეულ წელზე მეტხანს სწავლობდა. მაგრამ იგი სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესწავლითაცაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს საჟურნალო და საგაზეთო სტატიები აჭარაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე, გვარსახელებზე, ტოპონიმიკაზე, ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხებზე, მუჰაჯირობაზე, აჭარაში მოგზაურ ქართველ და უცხოელ მკვლევარებზე და ა.შ. მან ერთ-ერთმა პირველმა დასვა სა-







კითხი და შეიმუშავა წინადადება-რეკომენდაციები აჭარაში გავრცელებული ტრადიციული ხალხური დღესასწაულის — შუამთობის აღდგენისა და მისი განახლებული სახით ჩატარებაზე, ტბელობის სახალხო დღესასწაულის დაწესებაზე (1978 წელი), ხალხური ხელოსნობისა და შინამრეწველობის საკითხებზე, რამაც თავის დროზე ასევე დადებითი გამოხმაურება და შეფასება ჰპოვა.

ნოდარ კახიძე მუდამ სიახლის ძიებაშია და ყოველთვის აქტიურად მონაწილეობს საინსტიტუტო თუ სხვა სახის სამეცნიერო ღონისძიებებში. არის სიახლის მაძიებელი, შემოქმედი და ინიციატივიანი. უშუალოდ მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის (1933 წელი) 70 და 80 წლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფრენციები. ამ პირველ ექსპედიციას, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისსა და ბათუმში მოღვაწე მეცნიერები, ხელმძღვანელობდა შემდეგში საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი, ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. ნოდარ კახიძის თაოსნობით მოეწყო 2009 წელს ინსტიტუტში პირველი მოძრავი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომელშიც წარმოდგენილია ინსტიტუტის ეთნოლოგიის განყოფილების ფონდებში ნახევარი საუკუნის მანძილზე დაუნჯებული ფოტო და სხვა საილუსტრაციო მასალები. როგორც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის დაარსების 55 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომის მომზადებასა და ჩატარებაში, რომელიც 2013 წლის 2-3 დეკემბერს გაიმართა. იგი იყო საიუბილეო კომისიის წევრი, მისი ხელმძღვანელობით საიუბილეო სხდომისათვის მოეწყო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა ნაშრომებისა და საილუსტრაციო მასალების გამოფენა. მისივე ხელმძრვანელობით გამოსაცემად მომზადდა საიუბილეო ილუსტრირებული კრებული ინსტიტუტის შრომების X ტომის სახით.



ნოდარ კახიძე სხვადასხვა დროს არჩეული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ეთნოგრაფიულ კომისიაში, ამავე პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს მთიანი რეგიონების კომპლექსური შესწავლის კომისიის აჭარის ქვეკომისიის სწავლულ მდივნად, საქართველოს საისტორიო საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარედ. იყო ამ საზოგადოების რამდენიმე რესპუბლიკური ყრილობის დელეგატი. სისტემატურად კითხულობდა ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით.

პროფესორ ნოდარ კახიძის მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 25 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1983), ხოლო დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (2000). ნაშრომისათვის „ხელოსნობა აჭარაში” მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დაწესებული თედო სახოკიას სახელმწიფო პრემია (1995). 80 წლისთავთან დაკავშირებით კი დაჯილდოვდა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საპატიო სიგელით.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს ნოდარ კახიძის მოღვაწეობა, ინსტიტუტში მეცნიერული მუშაობის პარალელურად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1990 წლიდან უნივერსიტეტი). 1970 წლიდან დროგამოშვებით 1990 წლამდე ინსტიტუტის რექტორატის მიწვევით, ხელშეკრულებით ლექციებს კითხულობდა ისტორიის ფაკულტეტზე შუა საუკუნეებისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში. 1975 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ („ვაკი“) ისტორიის კათედრის წარდგენით მიანიჭა დოცენტის წოდება შუა საუკუნეების ისტორიაში. 1990 წლიდან 2010 წლის ჩათვლით ძირითად შტატში ლექციებს და სპეცკურსებს კითხულობდა ზოგად, ახლო აღმოსავლეთისა და საქართველოს ეთნოლოგიაში, ისტორიულ მხარეთმცოდნეობაში, ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხებზე. უშუალოდ ბატონ ნოდარ კახიძის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე 1990-იანი წლებიდან ლექციების კურსის შემოღება ზოგად და საქართველოს ეთნოლოგიაში. ამავე საგნებში კითხულობდა ლექციებს უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. აგრეთვე, აჭარის (გონიოს) კოოპერაციულ ინსტიტუტში. 2004 წელს არჩეული იქნა პროფესორად, 2009 წელს კი სრულ პროფესორად. ნოდარ კახიძე 1970-1980-იან წლებში სისტემატურად მონაწილეობდა მისაღებ გამოცდებზე ისტორიაში. 2005 წელს იყო საქართველოს ისტორიაში მისაღები საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. ეს იყო ბოლო გამოცდები უნივერსიტეტში, რომელიც შემდეგ საქართველოს ეროვნულმა გამოცდებმა შეცვალა. ნოდარ კახიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, უნივერსიტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო ცენტრის საქმიანობაში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა ორი საკანდიდატო დისერტაცია, სტუდენტთა ორმოცამდე საკურსო და ათი საკონფერენციო, რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომი. იგი სტუდენტებს არა მარტო ასწავლიდა, არამედ პირადი მაგალითით ზრდიდა და აყალიბებდა მოქალაქეებად.

პროფესორი ნოდარ კახიძე, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში დღესაც სავსე ენერგიით განაგრძობს მუშაობას. მის მიერ მრავალი ათეული წლის მანძილზე გაწეული სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა სამაგალითოა მისი უმცროსი კოლეგებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც სამეცნიერო სარბიელზე მუშაობს. არის საღად მოაზროვნე, ადამიანური ხიბლითა და პატიოსნებით გამორჩეული პიროვნება. ამიტომაც სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს თავის კოლექტივში, კოლეგებში, სამეცნიერო საზოგადოებაში.

ბატონი ნოდარ კახიძე არა მარტო კარგი მეცნიერ-მკვლევარია, არამედ არის შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და სამი შვილიშვილი. მხურვალედ ვუღოცავთ მას დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, ოჯახურ სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

როინ მალაყმაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის დოქტორი

გიჭოკო დიასამიძე
ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, ემერიტუს-პროფესორი

თამაზ ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ნოდარ ბარამიძე – 85

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ღვაწლმოსილ პედაგოგსა და მეცნიერს, ნოდარ ბარამიძეს, დაბადებიდან 85 ხოლო პედაგოგიური საქმიანობის 65 წელი შეუსრულდა.

ბატონი ნოდარი გურიაში კარგად ცნობილი სახალხო მასწავლებლის ანტონ ბარამიძის შვილია, რომელიც პირველ მსოფლიო ომში იბრძოდა, ტყვედ ჩავარდა, დემობილიზაციის შემდეგ კი გურიაში დაბრუნდა და ჯერ კონჭკათში, პაპავების გახსნილ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა, შემდეგ შემოქმედის ?2 საშუალო სკოლაში დანიშნეს სასწავლებლის გამგედ.

ასეთ ოჯახში მოევლინა ქვეყნიერებას 1930 წლის 7 იანვარს ნოდარ ბარამიძე და იმთავითვე დაებედა, რომ მამის კვალზე უნდა ევლო მთელი ცხოვრება.

საიუბილეო წერილები ბიოგრაფიული ელემენტების გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციას ვერც აქ დავარღვევთ და მკითხველს ზოგად შტრიხებში გავაცნობთ ნოდარ ბარამიძის საინტერესო ცხოვრების ზოგიერთ დეტალს.

1949 წელს იგი სტუდენტი გახდა. თავიდან მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა, შემდეგ განათლების სამინისტრომ გადაანაწილა და სწავლა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე გააგრძელა, სადაც მაშინ არაერთი საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი კითხულობდა ლექციებს, მათ შორის: სიმონ ყაუხჩიშვილი, მამია დუმბაძე, პანტელეიმონ ბერაძე, ნიკო ჭეიშვილი და ა. შ. მათ გაუღვივეს ცოდნას მოწყურებულ ყმაწვილს მეცნიერული კვლევის ინტერესი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც მისი ცხოვრების გეზი.

1954 წელს, კურსის დასრულების შემდეგ ნოდარ ბარამიძემ ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა, ჯერ პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის, შემდეგ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის და ბოლოს მსოფლიო ისტორიის კათედრაზე.

დღეს სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებიდან 65 წლის შემდეგ, მკვლევარს შეუძლია, ვალმოხდილი ადამიანის უპრეტენზიო კმაყოფილებით შეაფასოს საკუთარი მონაგარი.

მონაგარი კი, არც რაოდენობრივი, არც შინაარსობრივი თვალსაზრისით არ განეკუთვნება მოკრძალებულთა კატეგორიას. თავად განსაჯეთ, ათზე მეტი სამეცნიერო გამოკვლევა, ასზე მეტი სტატია, რეცენზია და წერილი. თვითონ რომ ჰკითხოთ, გამორჩევა გაუჭირდება, კოლეგა ისტორიკოსები კი განსაკუთრებით გამოყოფენ ისეთ ნაშრომებს, როგორებიცაა: ,,სახალხო განათლების ისტორიიდან გურიაში“, „გურიის გლეხთა სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა 1900-1921 წლებში“. „სამოქალაქო ომის გმირი ნესტორ კალანდარიშვილი“ და ა. შ.

თავის დროზე ნოდარ ბარამიძემ საყურადღებო რეცენზიები გამოაქვეყნა ვ. სიხარულიძის, პ. ცხვიტარიას, დ. დიასამიძის, ალ. გობრონიძის, ლ. შარაშიძის და სხვა ცნობილ მკვლევართა ნაშრომებზე. მის კალამს, პროფ. აბელ სურგულაძესთან თანაავტორობით, ეკუთვნის საინტერესო სტატიები პროფ. მ. ბერძენიშვილის, მამია დუმბაძისა და კუკური ლილუაშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანი, რომელიც ცხოვრებას ძირითადად ახალგაზრდების გარემოცვაში ატარებს გვიან ბერდება და ჭარმაგობაშიც ინარჩუნებს ჭაბუკურ მუხტს. ალბათ, ამიტომაც შეინარჩუნა ნოდარ ბარამიძემ ახალგაზრდული შემართება და მისი შემხედვარე, ძნელად დაიჯერებთ, რომ ამ ენერგიით სავსე ადამიანმა უკვე მეცხე ათწლეულში გადააბიჯა და მის მხრებს განათლების სისტემაში მუხლჩაუხრელი, მოღვაწეობის 65 წლიანი ტვირთი ამძიმებს.

ნოდარ ბარამიძე ერუდირებული, მაღალკვალიფიცირებული ლექტორია. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს დაწყებითი განათლების განყოფილებაზე, ძველი და ანტიკური ქვეყნების, რუსეთისა და აზია-აფრიკის ქვეყნების, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში. აქვე შეიძლება გავიხსენოთ მისი მოღვაწეობა საზოგადოება „ცოდნასა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გარდა იგი წლების განმავლობაში იყო აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის შტატგარეშე ინსპექტორი და კეთილსინდისიერად ასრულებდა ხელმძღვანელი ორგანოების საპასუხისმგებლო დავალებებს. ბატონი ნოდარი დიდებულ მაგალითს წარმოადგენს ბევრი ახალგაზრდა კოლეგისთვის.

ნოდარ ბარამიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცოცხალი მემატიანეა. მის თვალწინ განვლო ამ უმაღლესი სასწავლებლის 13 რექტორის საქმიანობამ. თითოეულ მათგანზე შეუძლია საათობით ისაუბროს, რომლებმაც გამორჩეული კვალი დაატყვეს უმაღლეს სასწავლებელს.

ასობით სპეციალისტის აღმზრდელ, ღვაწლმოსილ პედაგოგს 2010 წელს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. მისი იუბილე გულთბილად აღინიშნა უნივერსიტეტში.

ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ნოდარ ბარამიძე დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

დამსახურებული პედაგოგი შესანიშნავი ოჯახის პატრონიცაა. მისი მეუღლე და ქალიშვილი, ასევე განათლების სფეროში მუშაობენ. მხოლოდ ვაჟიშვილმა-მერაბმა „გადაუხვია“ ოჯახის გენერალური კურსიდან და კერძო სტრუქტურაში საქმიანობდა, მაგრამ სამწუხაროდ ერთმა უბედურმა შემთხვევამ შეიწირა ეს ახალგაზრდა კაცი და დატოვა ოჯახში მუდმივი მოუშუშებელი ტრაგედია.

კარგი ბაბუა ოცნებობს და იმედოვნებს, რომ შვილიშვილები-სანდრო და ნიკა ოდესმე მის კვალს გაჰყვებიან.

ასე მიდის ერთი უანგარო, დამსახურებული და უპრეტენზიო მოქალაქის, ნოდარ ბარამიძის ცხოვრება, მიდის და რაც მთავარია, მიდის რეპეტიციის გარეშე.

მრავალჟამიერ ბატონო ნოდარ!

ნოდარ ბარამიძე სტუდენტებზე უსაზღვროდ შეყვარებული კაცია, ყველაფერი შეუძლია აპატიოს მათ, ყველაფერი.... ერთი რამის გარდა. ეს „ერთი რამე“ პასიურობაა.

ოთხმოცდახუთი წლის ვეტერანს გული სწყდება, რომ სტუდენტთა დღევანდელი თაობის გარკვეული ნაწილი საზოგადოებრივ აქტიურობასა და ბრძოლისუნარიანობას არ იჩენს. „ახალგაზრდა, რომ სრულ კურსს დაამთავრებს და მერე სახელის გახსენება გაგიჭირდება, ეს მისი, როგორც მომავალი მოქალაქის პორტრეტზე კარგს არას მეტყველებსო“-იტყვის ხოლმე იგი.

თვით ეს შეფასებაც საინტერესო შტრიხია ნოდარ ბარამიძის, როგორც მარად ჭაბუკად შთენილი ვეტერანის დასახასიათებლად.

ბატონო ნოდარ, თქვენ ბრძანდებით ჩვენი უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი და დამსახურებული პედაგოგი. თქვენ რჩებით ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ლექტორ—მასწავლებლებისათვის ქართველ კაცობისა და ჭეშმარიტი მოქალაქის სიმბოლო და მაგალითი. თქვენ 2015 წლის 7 იანვარს დაბადებიდან 85 წელი შეგისრულდათ. ბატონო ნოდარ გილოცავთ ამ ღირშესანიშნავ თარიღს და გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ერისა და ქვეყნის სამსახურში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ოთარ გოგოლიშვილი,
ემზარ მაკარაძე

ჯარგად ნაფიქრი წიგნი



„კაცთა მინიჭებული უპირველესი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაი არის“.

დავით აღმაშენებელი

ყოველი ახალი წიგნი თვალწინ ახალ სამყაროს გვიშლის, - იტალიელი ფილოსოფოსის და პოეტის ჯორდანო ბრუნოს ეს სიტყვები გახსენდება როცა ცნობილი ფსიქოლოგის და მეცნიერ-მკვლევარის ნოდარ ბარამიძის მეტად საჭირო კრებულს „ნებისმიერი და ზნეობრივი ქცევის მიმართების პრობლემა“ ხელში აიღებ და ინტერესით,მთელი გულისყურით ჩაიკითხავ და ადამიანის სულეირი სამყაროს შესახებ ცოდნით გამდიდრებულს სითბოთი აგევსებათ სული. ახალგაზრდობის დიდი სიყვარული, იმედი, რწმენა, მათზე ფიქრი და რუდუნება ზეიმობს ყოველ სტრიქონში.

წიგნის რედაქტორია საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ—კორესპონდენტი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი იმედაძე, რეცენზენტები—პროფესორები მიხეილ მახარაძე, ირაკლი ბარამიძე და რუსუდან ბერიძე. ნაშრომის მოცულობა შეადგენს 230 გვერდს.

კრებული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და ფასეულია, რამეთუ იგი ფსიქოლოგიის მეტად აქტუალურ საკითხებს ეძღვნება. მოუსმინოთ თავად ავტორს: კრებული თემატურად მრავალფეროვანია, მაგრამ მასში ჭარბობს ნებისყოფის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. აქვე მოტანილია ჩვენი ექსპერიმენტული გამოკვლევის მონაცემებიც. მათში განხილულია ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის სტრუქტურის, განწყობის, შორეული მოტივაციური ქცევისა და სწავლის, ნებისმიერი და ზნეობრივი ქცევის მიმართების, ,,ვეფხისტყაოსანში“ სინესთეზის აღმნიშვნელი გამოთქმების, ფროიდის პირონებისა და მოღვაწეობის, ნიჭიერების მატერიალური საფუძვლების კვლევის ისტორიის, ვლ. სოლოვიოვის ერთი თეოლოგიურ-ფსიქოლოგიური მოსაზრების და სხვა საკითხები.

კრებული დასაწყისშივე იქცევს მკითხველის ყურადღებას. ავტორი საკითხის საფუძვლიანი ცოდნით პროფესიული ოსტატობით გვთავაზობს შტრიხებს რუსეთის იმპერიის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის. საინტერესოდ საუბრობს რუსეთისა და საქართველოს ურთიეთდამოკიდებულების, ქართველების როლისა და ადგილის შესახებ როგორც მეფის რუსეთში, ისე რუსეთის ცნობილ რევოლუციებსა და სოციალისტურ საპჭოთა კავშირში. ყურადღებას ამახვილებს რუსეთისა და საპჭოთა იმპერიის უმადურობაზე და ხისტ, არამეგობრულ, ხშირად მტრულ დამოკიდებულებაზე საქართველოსა და ქართველებისადმი. ავტორს ნეგატივთან ერთად არც პოზიტივი რჩება მხედველობიდან. მოაქვს საგულისხმო ფაქტები და აკეთებს მართებულ დასკვნას, რომ ქართველების გარეშე უმადური რუსეთისა და, მით უფრო საპჭოთა კავშირის სრული ისტორიის დაწერა ფაქტობრივად შეუძლებელია.

წიგნში საინტერესოდ და საფუძვლიანადაა გაშუქებული ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის სტრუქტურა. შესავალში მკვლევარი დიდი სითბოთი და სიყვარულით საუბრობს მსოფლიოში ცნობილი განწყობის ორიგინალური თეორიის ავტორზე დიმიტრი უზნუაძე. „განწყობის ორიგინალური თეორია, რომელიც ქცევის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით აღმოცენდა და რომლის ტოლი ფსიქოლოგიის ისტორიაში ცოტა მოიაზრება, სამართლიანადაა აღიარებული „დიდ თეორიად“ და შესულია ფსიქოლოგიური მეცნიერების საგანძურში,“ — წერს ავტორი და მოხერხებულად გადავყავართ ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის ფსიქოლოგიურ ბუნების სამყაროში. მისივე თქმით აღნიშნული საკითხი, კერძოდ, ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის ბუნების გარკვევა. გაანალიზება კლავაც აქტუალურნ ამოცანად რჩება

ნ. ბარამიძე დაწვრილებით, სკურპულოზურად მიმოიხილავს და გვაცნობს დ. უზუნაძის შეხედულებას ნებისყოფის პრობლემაზე, იხილავს მას განწყობის თეორიის პოზიციებიდან და ამ თეორიისავე საფუძველზე იძლევა მის გადაწყვეტას. აღნიშნული თეორიის მიხედვით ადამიანის ყოველგვარ ქცევას საფუძვლად უდევს განწყობა, წერს ავტორი. ამ მხრივ იმპულსურ და ნებისმიერ ქცევას შორის არ არის არვითარი განსხვავება. ქცევის ამ ორი ძირითადი ფორმის განმასხვავებელი თავისებურება განწყობების განმსაზღვრელი ფაქტორების სხვადასხვაობაში მდგომარეობს. იმპულსური ქცევის შემთხვევაში განწყობის შემუშავებას განსაზღვრავს აქტუალური მომთხოვნელობა და აქტუალური სიტუაცია. ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში კი განწყობა იქნება ,,მე“—ს მაღალი მოთხოვნებისა და წარმოსახული ან აზრითი სიტუაციის საფუძველზე ე.ი. ნებისმიერი მოქმედების განწყობა აზროვნების დონეზე, ობიექტივაციის პლანში შექმნილი განწყობაა. ნებისყოფის პირველი საჭიროებაც სწორედ აქ იჩენს თავს. იგი მეორე პლანზე შემუშავებულ განწყობას ნამდვილ ძალად აქცევს, რომელიც სუბიექტის ქცევას წარმართავს.

მკვლევარი აანალიზებს რა დიმიტრი უზუნაძის მიერ შემუშავებულ ნებისყოფის თეორიას ყურადღებას ამახვილებს ნებისყოფის პროცესის პერიოდებზე: გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდზე. თვითონ გადაწყვეტილების პერიოდსა და გადაწყვეტილების შესრულების პერიოდზე. აქცენტს აკეთებს ნებისყოფის აქტის მოტივით განსაზღვრულობის აღიარებაზე. ნებისმიერი ქცევა დამოკიდებულია მოტივზე, ეს უკანასკნელი აძლევს ქცევას ფსიქოლოგიურ აზრსა და ღირებულებას.

მეტად მნიშვნელოვნად და უაღრესად საჭიროდ მიგვაჩნია მსჯელობა დ. უზუნაძის შეხედულებების ზოგიერთი ძნელად გასაზიარებელ ადგილზე.

ავტორი პირველ რიგში ნებისყოფისა და ნებისმიერი ქცევის მოტივის უზნაძისეულ გაგებასთან დაკავშირებით გვაცნობს ფსიქოლოგების რ. ნათაძის, შ. ჩხარტიშვილის, ვ. კაკაბაძისა და სხვათა რამდენადმე განსხვავებულ მოსაზრებებს.

მათი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე აკეთებს მართებულ დასკვნას. მოვუსმინოთ ავტორს. „ჩვენს მიერ განხილული შეხედულებები ფაქტობრივად ავსებენ ერთმანეთს. მართალია დ. უზუნაძემ სათანადო ყურადღება არ თუ ვერ მიაქცია მოტივაციის პროცესში განსაკუთრებით, მის დასასრულ აღმოცენებულ, გადაწყვეტილების საფუძვლად მდებარე ვითარების ამსახველ „მე უნდა“ განცდას და ნებელობის აქტის ფენომენოლოგიური მხარე მთლიანად დაუკავშირა „მე მინდა“ განცდას. ხოლო ჩხარტიშვილმა გადამწყვეტი როლი დააკისრა „მე უნდა“ განცდას და ნებისყოფიდან არსებითად გამორიცხა „მე მინდა“ განცდა, მაგრამ საკითხის თავისებურმა ანალიზმა გვიჩვენა რომ, ნებისმიერი ქცევის სტრუქტურაში ორივე განცდას აქვს რეალიურად ადგილი. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს შეხედულებები ნებისმიერ ქცევის ბუნების გაგების საკითხერბში ავსებენ ერთმანეთს და ფაქტობრივად ქმნიან ერთ მწყობ შეხედულებას.

ნაშრომის ერთერთ ღირსებად მიგვაჩნია ისიც, რომ მასში ცალკე თავად არის განხილული ნიჭიერებასთან დაკავშირებული საკითხები. კითხველი ინტერესით გაეცნობა ნიჭიერების მატერიალური საფუძვლების კვლევის ისტორიას. ავტორი აქცენტს აკეთებს და მეტად საინტერესო მასალას გვაწვდის „გენიესობის“ მატერიალური დასაბუთების ერთი საიდუმლო ცდის, კერძოდ, ლენინის გენიალობის, მისი უნიკალური, არნახული ინტელექტუალური შესაძლებლობების შესახებ არსებულ მითზე.

ასვე საინტერესოდ და ჩვენი შეხედულებით, სწორად მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის გაშუქებული აღქმისა და განწყობის ურთიერთ მიმართების პრობლემები. აქვე ყურადღებას იქცევს მეტად საყურადღებო მასალა ფროიდის მოღვაწეობისა და მისი პიროვნების შესახებ.

მყარი მეცნიერული ანალიზის საფუძველზეა გაშუქებული განწყობის ფაქტორების ადგილი და მნიშვნელობა იმპულსურ და შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისმიერ ქცევაში. ხოლო რაც შეეხება მე-8 თავს „განწობა, შორეული მოტივაციეური ქცევა და სწავლა“ ამ თემაზე მკლევარს 1995 წელს გამოქვეყნებული აქვს მეტად საჭირო და საყურადღებო წიგნი, რომელმაც არამარტო სპეციალისტების, არამედ საჯარო სკოლების პედაგოგებისა და მკითხველთა ფართო წრის აღიარება დაიმსახურა.

მეტად მნიშვნელოვნად და უაღრესად საჭიროდ მიგვაჩნია თავი „ნებისმიერი და ზნეობრივი ქცევის მიმართების პრობლემა“. ავტორი შთამაგონებლად და დამაჯერებლად საუბრობს ორი მეცნიერების პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის ამ ზიარი ურთულესი პრობლემის შესახებ. იგი პირველ რიგში განმარტავს და აანალიზებს ნებისყოფისა და ზნეობის ცნებებს. საკუთარი აზრის დასადასტურებლად იმოწმებს ცნობილი ფსიქოლოგებისა და ეთიკის სპეციალისტთა აზრს და სავსებით კანონზომიერად აკეთებს მართებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ ნებისმიერი და ზნეობრივი ქცევები თავიანთი ძირითადი მახასიათებლებით ემსგავსებიან ერთმანეთს. ყველა ნებისმიერი ქცევა ამავე დროს ზნეობრივია და ყველა ზნეობრივი ქცევა ნებისმიერია. მკლევარს მხედველობიდან არ რჩება არაორდინარული ადამიანებიც: ჰიტლერი, ლენინი, სტალინი, თუნდაც განგსტერიც, ქურდიც, აზარტულად მოთამაშე... რომლებიც ავლენენ დიდ ძალისხმევა მიზნის მიღწევის გზაზე, ისინიც ახდენენ თავისებურ შორეულ მოტივაციას. იქმნება შთაბეჭდილება, მით უფრო ქვეყნის ლიდერების შემთხვევაში რომ მათი ქმედება მტკიცე ნებისყოფასთანაა დაკავცშირებული. არადა სამართლიანად შენიშნავს ავტორი რომ, აქ უძლიერესი ეგოისტური ლტოვები და მოთხოვნილებები განსაზღვრავენ საქმის ვითარებას და ადამიანის მთელი ფსიქო-ფიზიკური ძალების ბოროტი ნების აღსრულებისკენაა მიმართული.

საინტერესოდ და მეტად სასარგებლოდ გვესახება თავი „შრომის, როგორც ნებმიერი ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა“. ავტორი აანალიზიებს შრომის როგორც ადამიანის მიზანდასახულ, შეგნებულ მოქმედებას, ახასიათებს მას როგორც შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე აქტივობას და სავსებით კანონზომიერად აკეთებს დასკვნას. ,,შრომის სტრუქტურაში როგორც ფილოგენეზი, ისე ონტოგენეზის თვალსაზრისით, იმ თავითვე იგულისხმება შორეული ნებისყოფისეული მოტივები და შრომა არასებითად, შორეული მოტივაციური სტრუქტურის მქონე ნებისმიერ ქცევად გვევლინება“.

განსაკუთრებული გულისყურითაა დამუშავებული და საგულისხმო თეორიულ-პრაქტიკული ღირებულებებით გამოირჩევა თავები „სინესთეზიის აღმნიშვნელი გამოთქმები „ვეფხისტყაოსანში“, „არავერბარული კომუნიკაციის საშუალებები და სიცრუის დამადასტურებელი ჟესტები“ და „ვლადმერ სოლოვიოვის თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოსაზრებები ფსიქიკის ფილოგენეზთან დაკავშირებით“.

მეგობრის სიყვარულით და ფაქტების უტყუარობით არის წამოდგენილი შტრიხები ფილოსოფოსის, პროფესორ მიხეილ მახარაძის ცხოვრებიდან. მკვლევარი ჩვეული ოსტატობით, გულმხურვალედ, სითბოთი გვესაუბრება და ნათლად ასურათხატებს მის პორტრეტს, რომელსაც ინტერესით გაეცნობა მკითხველი.

„შეიცან თავი შენი“ ელინთა ეს ბრძნული შეგონება 40 საუკუნეზე მეტს მოითვლის, მაგრამ დღესაც არ გასვლია ყავლი. „დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისა თავისა,—“ ბრძანებდა დიდი ილია. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი ნაშრომის დასასრულს „შტრიხები ავტორის პორტრეტისათვის“. ბატონი ნოდარი ფართოდ, სრულყოფილად, ნათლად და ცხადა წარმოაჩენს საკუთარი თავის ფსიქოლოგიურ პორტრეტს, გვაცნობს მის მიერ ლამაზად განვლილ ცხოვრებისა და ნაყოფიერი მოღვაწეობის გზას.

დასარულ ხაზ გასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნში თავმოყრილი მასალა მრავალფეროვანი და საინტერესოა. იგი მკვლევარის მრავალწლიანი რუდუნებითი შრომისა და კვლევა—ძიების შედეგადაა შექმნილი. თითოეული თავის, საკითხის დებულება — მტკიცებანი გამაგრებულია კონკრეტული ფაქტებით და ცოცხალი მაგალითებით. მათი მყარი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე კი განვითარებულია ორიგინალური აზრები, ჩამოყალიბებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები. წიგნს აქვს სამეცნიერო და შემეცნებითი დანიშნულება. გამოირჩევა გამართული ლიტერატურული ენით და მწყობრი ლოგიკით. იკითხება ინტერესით. იგი ქმედით დახმარებას გაუწევს ფსიქოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ მეცნიერ-მკვლევარებს, პედაგოგებს, საინტერესო მასალას აწვდის ფართო საზოგადოებას.

აკაკი ზოიძე,
პროფესორი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსის წარდგინება

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონსულტანტმა და სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ზურაბ ბრაგაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსი წარუდგინა. საგრანტო კონკურსის მიზანია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსების გზით სტიმული მისცეს სახელმწიფოში ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებასა და მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო პერსონალის მომზადებას, უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივ გამოყენებას და სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნას. პროექტი ასევე ითვალისწინებს დოქტორანტებისა და უნივერსიტეტების უცხოეთში არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობასა და ამ გზით საქართველოში უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლებას.

პროექტის ელექტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2014 წლის 1 დეკემბრიდან 21 დეკემბრის 24 სთ-მდე; კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფონდში წარმოდგენის ბოლო ვადაა 2014 წლის 23 დეკემბერი, 18:00 საათი;

დეტალური ინფორმაცია კონკურსის პირობების შესახებ იხილეთ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე

გარემოს როლი პიროვნების ფორმირებაში

ბავშვს ამქვეყნად მოვლენის პირველი დღეებიდანვე თან დაჰყვება ადამიანიად გახდომის გარკვეული მონაცემები. იგი ჩვენი (აღმზრდელების) ყოველგვარი ჩარევის გარეში დაიწყებს ლაპარაკს, სიარულს, დაინტერესდება გარესამყაროთი და ა.შ. მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი გაიზრდება საზოგადოებაში, ადამიანთა შორის, რადგან მის პიროვნებად ჩამოყალიბებაში, აღზრდასა და მემკვიდრეობასთან ერთად, დიდ როლს ასრულებს ის გარემო, რომელშიც ბავშვს უხდება ცხოვრება. ქათმის წიწილას იხვი გამოჩეკავს და გაზრდის თუ ბატი, ის მაინც ქათმად იქცევა, ხოლო რაც შეეხება ადამიანის ნაშობ არსებას, იგი ადამიანად ჩამოყალიბდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ადამიანთა შორის, ადამიანთა წრეში გაიზრდება. ამასთან დაკავშირებით რობერტ ოუენი ამბობდა: „ადამიანი შეიძლება იქცეს სისხლისმსმელ ველურად, კაციჭამიად ან უაღრესად მაღალკულტურულ და კეთილ არსებად, რაც დამოკიდებულია იმ გარემო პირობებზე, რომელშიც იქნება იგი ჩაყენებული დაბადების დღიდან“. დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ბესარიონ ბელინსკი კი წერს: „ცხოველი იბადება ცხოველად და იგი ვერ იქცევა ვერც უკეთესად და ვერც უარესად, ვიდრე ბუნებამ გააჩინა, ადამიანი კი გონიერი, მოაზროვნე არსებაა და იგი იქ იწყება, სადაც მთავრდება ცხოველი. „ლომის ლეკვი ლომადვე იქცევა ისე, — ამბობს ბ. ბელინსკი, — რომ თვითონ მას ამისათვის არავითარი მონდომება არ სჭირდება... ადამიანი კი, რომელიც დაიბადა არა ლომად ან ვეფხვად, არამედ სწორედ ადამიანად, ამ სიტყვის სრული მნიშვნე-ლობით, შეიძლება გახდეს (გარემოსა და აღზრდის გარეშე — **ნ. ბ**.) მგელიც, სახედარიც და რაც გნებავთ“.

არაერთი ცდის მიხედავად, მეცნიერებმა ვერასგზით ვერ მოახერხეს ტყეში ნადირთა მიერ გაზრდილი ბავშვის სრულყოფილ ადამიანად გადაქცევა, რადგან მას პატარაობიდან შეთვისებული აქვს ის თვისებები, რაც მისი გამზრდელი-სათვისაა დამახასიათებელი. მართალია, დათვის თუ მგლის მიერ გაზრდილი ბავშვი ნამდვილ დათვად ან მგლად ვერ იქცევა, მაგრამ მისგან გადაიღებს იმ თვისებებს, რაც აღნიშნული ცხოველისათვისაა დამახასიათებელი.

როცა პიროვნების ფორმირებაში გარემოს როლზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს სოციალური, საზოგადოებრივი გარემო, რადგან ბუნებრივი გარემო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ბავშვის გაადამიანებაზე.

ბუნებრივი გარემოა: მზე, ჰაერი, წყალი, ჩვენი ფლორა და ფაუნა, ანუ ბუნება მთელი მრავალფეროვნებით, ხოლო სოციალური, ანუ საზოგადოებრივი გარემო — სკოლა, ოჯახი, კინო, თეატრი, წიგნი, რადიო, ტელევიზორი, კომპიუტერი, ამხანაგებისა და მეგობრების წრე და ა. შ.

ბავშვი ადამიანის შვილია და იგი საზოგადოებაში, ადამიანთა შორის უნდა ცხოვრობდეს, ადამიანთა შორის უნდა ტრიალებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ცხოველის დონეს ვერ გასცდება და მისგან ჭეშმარიტი ადამიანი არ დადგება. ამის მაგალითი ისტორიამ ძალიან ბევრი იცის. ცნობილია, მაგალითად, ცხოველების მიერ (მათ შორის მტაცებელი ცხოველების) გაზრდილი ბავშვები, მაგრამ ისინი ადამიანებად არ ჩამოყალიბებულან. მაგალითად: 1920 წელს ინდოელმა ფსიქოლოგმა რიდ სინგხუმ მგლების ხროვაში აღმოაჩინა ორი გოგონა, რომელთა შორის ერთი იყო, დაახლოებით, წლინახევრის, მეორე კი — რვა წლის (როგორც ჩანს, მგლებს ისინი ჩვილობაში გაუტაცნიათ). გოგონები ოთხფეხზე დარბოდნენ და იღრინებოდნენ, ღამით კი მგლებივით ყმუოდნენ. სინგხუ შეეცადა მათ აღზრდას და ადამიანთა საზოგადოებაში ცხოვრების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მაგრამ ამაოდ. პატარა გოგონა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა, უფროსმა კი 17 წლამდე იცოცხლა. მიუხედავად ამისა, მან ვერ ისწავლა ლაპარაკი და ადამიანთა შორის ცხოვრება. იგი გადაეჩვია მხოლოდ ზოგიერთ მგლურ თვისებას და ისწავლა ორმოცამდე სიტყვის სწორად გამოყენება. ეს იყო და ეს.

1973 წელს გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ცეილონის სამხრეთით, ჯუნგლებში, დაიჭირეს თეთრკანიანი ბიჭი, რომელიც, დაახლოებით, 10-12 წლის იქნებოდა. იგი მაიმუნთა შორის ცხოვრობდა და მთლიანად გადაღებული ჰქონდა მათი თვისებები. ადამიანების მიერ დიდი მცდელობის მიუხედავად, ტისამ (ასე შეარქვეს მას) ლაპარაკი ვერ ისწავლა, დადიოდა მხოლოდ ოთხით, მაიმუნივით იმანჭებოდა და საჭმელს მხოლოდ მაშინ ჭამდა, როცა იგი მიწაზე იდო.

აი, სხვაგვარი მაგალითიც. პარაგვაიში ცხოვრობს გუაიკილების ტომი, რომელიც დღეისათვის ცნობილ ტომთა შორის ყველაზე ჩამორჩენილია. გუაიკილები ადამიანებთან ყოველგვარ კონტაქტს გაურბიან. მათ სადგომში ფრანგმა ეთნოგრაფმა ველარმა იპოვა მარტოდმარტო მიტოვებული ორი წლის გოგონა, საფრანგეთში ჩაიყვანა და თავის დედას ჩააბარა აღსაზრდელად. 20 წლის შემდეგ (1958 წელს) თავისი განვითარებით იგი არაფრით ჩამოუვარ- დებოდა ინტელიგენტ ევრპელ ქალებს. შეისწავლა ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური ენები, დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და გახდა ეთნოგრაფი.

რა დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ ფაქტებიდან? — სვამს კითხვას აკად. შალვა ამონაშვილი და ასეთ პასუხს იძლევა:

ადამიანის მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებების რეალიზაცია ხდება ძირითადად მისი პირველი 8-10 წლის ცხოვრების მანძილზე. ამიტომ გოგონამ, რომელმაც, ალბათ, დაახლოებით 7 წელი იცხოვრა მგელთა შორის, ვერ შეძლო ლაპარაკი და ორფეხზე გამართულად სიარული, რადგან იგი 8 წლამდე მგლების ხროვაში იმყოფებოდა და გადაიღო მხოლოდ მათი ჩვევები. იმ დროს, როცა ენის შეთვისების მისმა მექანიზმმა ფუნქციონირება იწყო (ამოქმედდა), მას მხოლოდ მგლების ყმუილი ესმოდა და ამიტომ მათი ჩვევა გადაიღო, ხოლო შემდეგ, როცა ამ ფუნქციამ თავისი მისია შეასრულა, ბავშვმა ენის შეთვისების უნარი სამუდამოდ დაკარგა.

ცნობილი ფსიქოლოგი ლეონტიევი თავის წიგნში „ფსიქიკის განვითარების პრობლემები“ (რუსულად) წერს: „...თუ ბავშვები ყველაზე ადრეული ასაკიდან ვითარდებიან საზოგადოებისაგან იზოლირებულად, ისინი ცხოველთა განვითარების დონეზე რჩებიან“.

რაც შეეხება გუაიკილელ ბავშვს, იგი მხოლოდ 2 წლის იყო და ახალად იწყებდა ლაპარაკს. ეს გოგონაც რომ 8-10 წლის ყოფილიყო, მისი აღზრდის შედეგი ასეთ ნაყოფს არ გამოიღებდა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. როგორც დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი აღნიშნავდა, ხე სანამ ნორჩია, მას მებაღე საითაც სურს იქით გადახრის, ასევე აღმზრდელსაც, სანამ ბავშვი პატარაა, შეუძლია მისი აღზრდა წაიყვანოს იმ მიმარ|თულებით, რომელიც მას სურს, შემდეგ კი გვიან იქნება, რადგან ბავშვის თავიდან სწორად აღზრდა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მისი ხელახალი აღზრდა, ზოგჯერ კი ეს შეუძლებელიცაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ბავშვი შეიძლება ადამიანად იქცეს მხოლოდ აღზრდის წყალობითა და გარემო პირობების მეშვეობით. ამიტომ იგი ადამიანთა შორის უნდა ცხოვრობდეს და კარგი აღმზრდელის ხელმძღვანელობით იზრდებოდეს.

ნოდარ ბასილაძე
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

უნივერსიტეტმა რექისორ რობერტ სტურუას უმასპინძლა

რეჟისორი რობერტ სტურუა საგანმანათლებლო-სახელოვნებო პროექტის „სტურუას შექსპირის სამყარო“ ფარგლებში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. უილიამ შექსპირის დაბადებიდან 450 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ცნობილმა რეჟისორმა საკუთარ შემოქმედებაზე, მსოფლიოს წამყვანი თეატრების სცენაზე მის მიერ დადგმულ სპექტაკლებსა და ინგლისელი დრამატურგის პიესების თარგმანის პრობლემატიკაზე ისაუბრა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა და ხელოვანმა აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა. ასევე შედგა რუსთაველის თეატრის მუზეუმში დაცული რობერტ სტურუას შექსპირული დადგმების ამსახველი ფოტომასალის ჩვენება. რუსთაველის თეატრისა და ბსუ-ს პროექტი ,,სტურუას შექსპირის სამყარო“ სტუდენტების ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას ითვალისწინებს. იგი ახალგაზრდებისთვის საინტერესოს გახდის შექსპირის ტექსტების, თეატრალური დადგმების შესწავლასა და შემდგომ კვლევას. პროექტის ეგიდით გათვალისწინებულია რობერტ სტურუას სპექტაკლის „ჰამლეტი“ ვიდეოჩვენება.

უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, პროფესორ მაიკლ ვიკერსის საჯარო ლექციები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მაიკლ ვიკერსმა აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით უნივერსიტეტში საჯარო ლექციათა ციკლი დაიწყო ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური სამყაროს ისტორიის აქტუალურ საკითხებზე. ცნობილი მეცნიერი ხუთი დღის განმავლობაში მოხსენებებს წაიკითხავს შემდეგ თემებზე: „ვერცხლიდან კერამიკამდე: ოქრომჭედელთა გავლენა მეთუნეობაზე ძველ ათენში“, „რომაული მურინის ჭურჭელი: „დედამიწაზე არსებულ მასალათა შორის უძვირფასესი“, „კარიატიდები ათენის ერეხთეიონზე: ქრონოლოგიის და სიმბოლიკის საკითხისათვის“, „ლეპსის მაგნა: ქვიშაში აგებული რომაული ქალაქი და მოხეტიალე ქვები, მეორადი გამოყენება ანტიკურობაში“.

პროფესორ მაიკლ ვიკერსის კვლევის სფეროებია ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური სამყაროს არქეოლოგია, ისტორია და ლიტერატურა. იგი წლების მანძილზე აშმოლის მუზეუმის (ოქსფორდი) ბერძნულ-რომაული სიძველეების კურატორი იყო.

პროფესორი ნოდარ მამულაძე - მეგობრის გახსენება

ადამიანის ცხოვრებაში შრომა -გარჯის, ღვაწლის აღიარების ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია იმ კოლექტივისა, სადაც იგი რუდუნებით იღვწის და მთელ თავის შეგნებულ ცხოვრებას უძღვნის ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს .ნებისმიერი ფასეულობა ღირებულებას მხოლოდ მისი დაკარგვის შემდეგ აღიქვამს. ასეა ალბათ ყველა შემთხვევაში და ყველასადმი. ბატონი ნოდარ მამულაძის ღვაწლი და ამაგიც ყოველთვის დაფასდება, რადგანაც მან ვაჟკაცურად იღვაწა. ცხოვრება კი თანატოლთა მსგავსად ჩვეულებრივად დაიწყო, სწავლობდა ხიხაძირის საშუალო სკოლაში, რომლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა და წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო- სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო სამეურნეო ფაკულტეტი. აქ მან გამოავლინა მეცნიერულ-პედაგოგიური და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის საჭირო ნიჭი და შესაძლებლობები. ინსტიტუტის რექტორატისა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ასპირანტურაში შესთავაზეს სწავლის გაგრძელება, მაგრამ პრაქტიკულ-სამეურნეო მუშაობა ამჯობინა და მშობლიურ ხულოს რაიონის სატყეო მეურნეობაში დაიწყო მუშაობა. შემდეგ როდესაც ხულოსა და შუახევის რაიონების სატყეო მეურნეობები გაერთიანდა დირექტორად დაინიშნა.

ბატონი ნოდარის ნიჭიერება, რთულ სიტუაციებში სწრაფად გარკვევის საოცარი ალღო და უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ რეგიონის ხელისუფლების წამომადგენლებს. იგი ჯერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სატყეო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო შემდეგ მინისტრის მოვალეობი შემსრულებლად დააწინაურეს , სადაც ათ წელზე მეტი იმოღვაწა. აქ გამოავლინა კარგი ხელმძღვანელის ის პოტენციური შესაძლებლობანი, რაც უხვად იყო წარმოდგენილი მის პიროვნებაში , აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალ თანამდებობებს არ შეუცვლია ნოდარის შინაგანი მდიდარი ბუნება და კეთილშობილება, როგორი თბილი, გულისხმიერი და საოცრად ყურადღებიანი იყო მანამდე, ისეთივე დარჩა ხელმძღვანელ- სამეურნეო და პედაგოგიურ სამუშაოებზე გადაყვანის შემდეგაც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონ ნოდარის დაუღალავი ზრუნვა ჩვენი ბუნებისადმი- რომლის დიდი ქომაგიც იყო. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს მისი სისტემური ყურადღება ტყეების მოვლა-დაცვის, კვლავწარმოების და რაციონალურად გამოყენების საკითხებისადმი. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული და გათავისებული ის დიდი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური მნიშვნელობა, რაც ტყეებს გააჩნიათ ქვეყნის კეთილდღეობისთვის, კარგად იცოდა თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეეძლო მთის ტყეებში არასწორი მეურნეობის წარმოებას, კარგად იცოდა აჭარის მთიანეთის რთული რელიეფის პირობებში, თუ რა დიდი ეროვნული მნიშვნელობა ენიჭება მთის ფერდობებზე განლაგებულ ტყეების სოციალური და ეკოლოგიური ფუნქციების შენარჩუნებასა და გაძლიერებას.

სამეურნეო საქმიანობის პარალელურად ის სწავლას აგრძელებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერების, აკადემიკოს გიორგი გიგაურის ხელმძღვანელობით, რომლის დამთავრების შემდეგ იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „აჭარის მაღალი მთის დეგრადირებული მუქწიწვიანი ტყეების აღდგენა-განახლების საკითხებზე „ , სადაც ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო ტყის საკურორტო ტურისტული და რეკრეაციული გამოყენების პერსპექტივებზე. ამიტომაც სადისერტაციო საბჭოს კომპეტენტურმა კომისიამ ერთხმად აღიარა ნაშრომის მეცნიერული სიახლე, თემის აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ბატონი ნოდარი ბუნებით ოპტიმისტი კაცი იყო. ჩვენი დაკვირვებით ამას ორი რამ განაპირობებდა. ჯერ ერთი, მისი ადამიანური თვისება-ღირებულებები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთულ პროცესებში ჩაწვდომის მომადლებული ნიჭით ჩამოყალიბებული მისი მეცნიერული აზროვნება. გამოქვეყნებული ჰქონდა 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ერთი მონოგრაფია, ათეულობით საგაზეთო პუბლიკაცია. დიდ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდა კადრების სწავლა-აღზრდის საქმეს. ხელმძვანელობდა ორი დოქტორანტისა და ხუთი მაგისტრანტის მომზადებას. გამოსაცემად ამზადებდა უმაღლესი სასწავლებლის სატყეო საქმის პროფილის სტუდენტებისათვის სახელმძღვანელოს „სატყეო ტაქსაცია“, რომელიც დღეისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

ნოდარის დიდმა ადამიანურმა გრძნობამ და ემოციურობამ მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა და დიდხანს ანთებულ ნათურასავით მოულოდნელად გადაიწვა - იგი ჯერ კიდევ ენერგიითა და შრომის დიდი უნარით მოულოდნელად წავიდა წუთისოფლიდან. ის იყო რაინდული სულის ადამიანი, კარგი პედაგოგი, მეცნიერი და სამეურნეო მუშაკი. ბოლო წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად, საქმისადმი ჩვეული ერთგულებით ხელმძღვანელობდა აგრარული ტექნოლოგიებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტზე, დეკანის მოადგილის თანამდებობაზე, სასწავლო და სამეცნიერო დარგს.

მადლიერი შრომითი კოლექტივები, მრავალრიცხოვანი მეგობრები, სტუდენტი-ახალგაზრდობა და ლექტორ-მასწავლებლები მუდამ გულთბილად მოიხსენიებენ ბატონ ნოდარს. სამწუხაროა, რომ უდროოდ შეწყდა მგზნებარე გულისცემა და განუხორციელებელი დარჩა მისი მიზნების მრავალი ჩანაფიქრი. დაამწუხრა ოჯახი, დედა - რომელიც დარჩენილ დღეებს მასზე ფიქრში ატარებს.

დრო ადამიანთან ერთად არსებობს, მაშასადამე - ხსოვნაც. ამბობენ, ადამიანი რაღაცით უბრუნდებაო ქვეყანას. ბატონი ნოდარის სულის გამონათება სიკეთეში უნდა ვეძებოთ მხოლოდ. სიკეთე კი მარადიულია.

რეზო ჯაბნიძე, ნუგზარ ზოსიძე -
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტთა წარმატება ქალაქ ქუთაისში

2014 წელს სრულდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80 წლის იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებით ქ. ქუთაისში გაიმართა სტუდენტთა და მაგისტრანტთა 24-ე სამეცნიერო კონფერენცია, სადაც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები. კონფერენცია, რომელიც ორ დღეს მიმდინარეობდა, შესავალი სიტყვით გახსნა რექტორმა, პროფესორმა გიორგი ღავთაძემ, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩირაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი თენგიზ ურუშაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი რეზო ჯაბნიძე და სხვა მოწვეული სტუმრები.

კონფერენციის ორმოცამდე სექციას თავჯდომარეობდა სხვადასხვა დარგის მეცნიერები და პროფესორები. ჩვენი უნივერსიტეტი ძირითადად წარმოდგენილი იყო ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრონომიული და აგროეკოლოგიური მიმართულების სტუდენტებით. სასიხარულოა, რომ მათ თავიანთი ნაშრომები წარმოადგინეს

კარგად და ჟიურის მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

აგრონომიის სპეციალობის მესამე კურსის ბაკალავრმა ლაშა მელაძემ, რომელიც მონაწილეობდა აგრონომიულ მეცნიერებათა სექციაში, მის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ თემაზე: ,,ზეთისხილის კულტურის განვითარების თავისებურებანი აჭარაში'' (ხელმძღვანელი აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე) დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

სუბტროპიკული კულტურების სექციაში მეორე კურსის სტუდენტმა მარიამ ცეცხლაძემ თემაზე: ,,კაკლის აგროეკოლოგიური თავისებურებანი და აჭარაში გავრცელებული ჯიშები'' (ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი ნანა ჯაბნიძე) ჟიურის გადაწყვეტილებით დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

მეორე კურსის ბაკალავრმა გიორგი ჯინჭარაძემ, რომელიც მონაწილეობდა ლანდშაფტური არქიტექტურის სექციაში, მის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ თემაზე „აჭარის ტყეების თანამედროვე მდგომარეობა“ (ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასისტენტ პროფესორი ნარგიზი ალასანია) დაიკავა მეორე ადგილი და გადაეცა რექტორის საპატიო საიუბილეო სიგელი.

მეორე კურსის ბაკალავრმა რუსუდან მელაძემ აგრონომიის სექციაში, მის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ თემაზე: ,,ქაცვის ბოტანიკურ-მორფოლოგიური დახასიათება და სახალხო სამეურნეო მნიშვნელობა'' (ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი ლამზირა გორგილაძე) დაიკავა მეორე ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

მეორე კურსის ბაკალავრმა თამარ ჯონჭარაძემ სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის სექციაში, მის მიერ წარმოდგენილმა მოხსენებამ თემაზე: „მანდარინის ადრემწიფადი ფორმების დახასიათება და მოვლა მოყვანის ტექნოლოგია“ (ხელმძღვანელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი, აკადემიკოსი რეზო ჯაბნიძე) დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა რექტორატის საპატიო საიუბილეო სიგელი.

უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენცია ჩატარდა მარალ ორგანიზებულ დონეზე, სტუდენტთა და მაგისტრანტთა წარმოდგენილმა თემებმა განსაკუთრებით მიიპყრეს მსმენელთა დიდი ყურადრება, როგორც მაღალ დონეზე შესრულებულმა შრომებმა.

კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობის დროს განხორციელდა ექსკურსიები იმერეთის ისტორიული ძეგლების გელათისა და ბაგრატის ტაძრებში, ასევე წყალტუბოს პრომეთეს მღვიმეში, რომელმაც თითეულ ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით მადლიერების გრძნობა გვინდა გამოვხატოთ დელეგაციის ხელმძღვანელის აკადემიკოს რეზო ჯაბნიძის მიმართ იმ დიდი ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის, რომლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ბოლო სამი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვღებულობთ მონაწილეობას ქ. ქუთაისში სამეცნიერო კონფერენციაში, რაც დიდი სტიმულია თითოეული სტუდენტისათვის, რადგანაც ასეთი შეხვედრები აახლოებს სხვადასხვა უნივერსიტეტის ახალგაზრდებს.

ლაშა მელაძე -
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტექნოლოგიური
ფაკულტეტის აგრონომიის
მე-3 კურსის სტუდენტი

მარიამ ცეცხლაძე -
ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ტექნოლოგიური
ფაკულტეტის აგრონომიის
მე-2 კურსის სტუდენტი

„ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II“

2014 წლის 24-26 ოქტომბერს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II”. კონფერენცია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით გაიმართა, უკვე მეორედ, პირველი კონფერენცია 2009 წელს ჩატარდა.

თანამედროვე საზოგადოებას ინფორმაციულს უწოდებენ. ინფორმაცია, მართლაც, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჩვენს ცხოვრებაში და ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს ჰუმანიტარულ მეცნიერებებსაც. სულ უფრო აქტუალურია ინტერდისციპლინური კვლევები, რადგან თანამედროვე მეცნიერების განვითარება შეუძლებელია პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომის, მრავალი სხვადასხვა დარგის ურთიერთთანამშრომლობის გარეშე. ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დამკვიდრდა ზუსტი მეცნიერებების კვლევის მეთოდები, შთამბეჭდავია ციფრული ჰუმანიტარიის მიღწევები, რამაც სათავე დაუდო ჰუმანიტარული ცოდნის განვითარების ახალ ეტაპს და სრულიად ახალი შესაძლებლობების წინაშე დაგვაყენა.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ უაღრესად საინტერესო და პრობლემური მოხსენებები, რომლებიც კონფერენციის სექციებში იქნა წარმოდგენილი.

კონფერენციის მასშტაბებზე მეტყველებს ის ფაქტები, რომ მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა მეცნიერმა 10-მდე ქვეყნიდან, კონფერენციის 13 სექციაში მოისმინეს 250-მდე მოხსენება ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურათმცოდნეობის, კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, მასმედიის, განათლების მეცნიერებების სფეროდან.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეცნიერებმა ავსტრიიდან (პროფ. პიუს ტენ ჰაკენი), პოლონეთიდან (პროფ. ჯონანა შერშუნოვიჩი), რუსეთიდან (პროფ. ოლგა ნევზოროვა), ირანიდან (პროფ. მაჰვაშ მაჰედუსთი), ლიბანიდან (პროფ. მარლენ ქანაანი), რომლებმაც აღნიშნეს, რომ კონფერენციამ მაღალ დონეზე ჩაიარა და კარგად იყო ორგანიზებული. კონფერენციის სექციების მუშაობა წარიმართა საინტერესოდ, დაძაბულად, მაღალი აკადემიური და პროფესიული მუხტის ქვეშ. ჩვენი უცხოელი კოლეგები აქტიურად იყვნენ ჩართულნი კონფერენციის მასალების რეცენზირებასა და რედაქტირების პროცესშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ დოქტორანტები, რომლებმაც კოლეგებს გაუზიარეს თავისი კვლევის შედეგები და ჩართულები იყვნენ საინტერესო დისკუსიებში, შეიძინეს სასარგებლო გამოცდილება, რომელიც გამოადგებათ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. შესაბამისად, ქართველ ავტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ

მოესმინათ საყურადღებო შენიშვნები და შეფასებები მათ მიერ წარდგენილ საკითხებზე, მიეღოთ სასარგებლო სამომავლო რჩევები ან კომენტარები გაწეულ სამუშაოზე.

ვფიქრობთ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მრგვალი მაგიდა,-„თარგმანი, როგორც სამეცნიერო ნაშრომი“,- რომელიც კონფერენციის ფარგლებში მოეწყო და თარგმანმცოდნეობის აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხებს მიეძღვნა. მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა მიიღეს საგანგებო მიმართვა შესაბამისი ინსტიტუციებისა და ქართველი საზოგადოებისადმი, რეკომენდაციებით, რომელთა გატარება აუცილებელია დარგის სრულყოფისათვის.

დავუბრუნდები ჩვენი კონფერენციის სახელწოდებას - „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - II“ და გავიხსენებ, როცა პირველად შევიკრიბეთ ამ რამდენიმე წლის წინ (2009 წ.), შეიძლება ითქვას, მხოლოდ კონფერენციის სათაური პასუხობდა ამ გამოწვევას, დღეს ცალკე სექციებად გამოიყო ციფრული ჰუმანიტარია, ლექსიკოგრაფია და კორპუსის ლინგვისტიკა, სემიოტიკა და ა.შ.; თითქმის ყველა სექციაში იყო წარმოდგენილი მოხსენებები, რომლებიც უშუალოდ ეხმაურებოდნენ მეცნიერების შესაბამისი დარგის განვითარებას ინფორმაციული ტექნოლოგიების პირობებში. ჩვენი მიზანიც ეს იყო და ეს მიზანი, ნაწილობრივ მაინც, მიღწეულია.

მარინე გიორგაძე
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:

ძვირფასო უნივერსიტეტელებო, სტუდენტებო და პროფესორ-მასწავლებლებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალწელს! გისურვებთ, რომ 2015 წელი მშვიდობიანი, ბედნიერებით, სიხარულით, სიყვარულით, სიკეთით, ხვავითა დაბარაქით სავსე წელ იყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახების, მთლიანადსაქართველოსდა სრულიად სამყაროსათვის!

ნება მიბოძეთ, შუა საუკუნეების საუნივერსიტეტო ჰიმნის ამ ოპტიმისტური სიტყვებით მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი:

Vivatacademia!
Vivantprofessores!
Vivatmembrumquodlibet!
Vivant membraquaelibet!
Semper sint in flores !

მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციის მასალები იბეჭდება სამ ტომად.

შეიძლება ითქვას, რომ ბსუ-ში დამკვიდრდდა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დიდი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმის ჩატარების ტრადიცია, რომელიც აქტუალურია და ინტერესს იწვევს არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ უცხოეთის აკადემიურ წრეებშიც.

მარინა გიორგაძე,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

საერთაშორისო სიმპოზიუმი ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში

მიმდინარე წლის 15-17 ოქტომბერს ბსუ-ს ლექტორ-მასწავლებლები: მზია ხახუტაიშვილი, ინგა შამილიშვილი, ნანა ცეცხლაძე, მაია კიკვაძე, ლილე თანდილავა, ალკაზარ კაშია და ივდით დიასამიძე და მონაწილეობდნენ ენის, ლიტერატურისა და სტილისტიკის 14 საერთასორისო სიმპოზიუმში, რომელიც დოქუზეილულის უნივერსიტეტის ორგანიზებით მსოფლიოს ულამაზეს ქალაქ კუშადასში, იზმირთან, ახლოს ჩატარდა. აღსანიშნავია ის, რომ კუშადასი საკურორტო ქალაქია და ქობულეთთანაა დაძმობილებული, იზმირი კი - ბათუმთან.

21-ე საუკუნეში მეტად აქტუალურია ენის, როგორც ეროვნების კოდის, ფონური ცოდნის მატარებელი ფენომენის კვლევა. გლობალიზაცია წარმოუდგენელია ინტერკულტურული კომუნიკაციის გარეშე.

ლინგვისტიკის სექციის მომხსენებელმა სიმპოზიუმზე წარადგინეს ქართულ-თურქული ფრაზეოლოგიების შეპირისპირებით კვლევა, კულტურათა დიალოგი და თარგმნის პრობლემები. დისკუსიაში გამოიკვეთა საკითხის ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური და ინტერკულტურული საფუძვლები. ამ მხრივ მეტად საინტერესოა თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში დაცული მასალები, როგორც კულტურული დიალოგის გამოხატულება. მოხსენებებში გამოიკვეთა ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც აისახება ეთნოსის ხასიათი, მსოფლხედვა. კონფერენციის მონაწილეთათვის მეტად საინტერესო აღმოჩნდა ის სტრუქტურული ვარიანტები, რომლებშიც თურქი და ქართველი ხალხის განსხვავებული მსოფლმხედველობა, ისტორია, ტრადიციებია ასახული.

საინტერესო აღმოჩნდა თურქული ფრაზეოლოგიზმების ქართულად თარგმნის პრობლემებიც: ერთნაირი შედგენილობის ფრაზეოლოგიზმები ხშირად განსხვავებული სემანტიკისაა. მომხსენებელთა კვლევის შედეგები გამოადგებათ მთარგმნელებს და გაადვილებს კომუნიკაციას.

კონფერენციაზე წარდგენილ იქნა ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობების ამსახველი თემა, რომელშიც ნაჩვენები იყო სიმბოლისტური ლიტერატურული სკოლის გავლენა ქართულ და თურქულ, კონკრეტულად კი გალაკტიონისა და ჰაშიმის პოეზიაზე.

საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზატორებმა საგანგებოდ აღნიშნეს ქართველ მომხსენებელთა მაღალკვალიფიციურობისა და ორგანიზებულობის შესახებ. ფრაზეოლოგიზმების სიღრმისეული შესწავლა დაუსახავთ მიზნად დუზჯეს უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფს, რაც 14-ნლიან კვლევას გულისხმობს. კოლეგები დაინტერესდნენ ქართველი მკვლევრების კვლევის სპექტრით. ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოხსენებების მოსმენის შემდეგ მათ გამოთქვეს სურვილი თანამშრომლობისა. ფორუმზე დაისახა შემდგომი თანამშრომლობის ღონისძიებებიც.

აღმოსავლური ჰოროსკოპი 2015 — რა გველის ლურჯი თხის წელიწადში

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით 2015 წელი ლურჯი ხის თხის წელიწადი იქნება. ზოგი წლის ამ სიმბოლოს ცხვარს უწოდებს, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. თხა აღმოსავლურ ჰოროსკოპში, ერთი მხრივ, მშვიდობასთან, ჰარმონიასა და სიმშვიდესთან სიმბოლიზდება, მეორე მხრივ კი, სიჯიუტესა და კომპრომისებზე წასვლაზე უარის თქმის სურვილთან. აღმოსავლური კალენდრის თანახმად, თხის წელი დადგება 2015 წლის 19 თებერვალს და გაგრძელდება 2016 წლის 7 თებერვლამდე, როდესაც ხის თხას ცეცხლოვანი მაიმუნი შეცვლის. ხის ლურჯი თხა, 2015 წელის სიმბოლო და გამგებელი, სამყაროს უხვმოსავლიან ხილის ბაღჩად აღიქვამს, სადაც იდეალურ ვარიანტში სიმშვიდე, სიწყნარე, ჰარმონია და მშვიდობა უნდა სუფევდეს. აქ არ არის აუცილებელი მუხლჩაუხრელად შრომა და შეიძლება მშვიდად მიჰყვე დინებას, რომელშიც ყველა მოვლენას რიგრიგობით მონაცვლე სეზონები განსაზღვრავენ. თხა ჩინურ მითოლოგიაში დედურ საწყისთან სიმბოლიზდება. ეს პერიოდი ბავშვის ჩასახვისა და გაჩენისთვის ჩინური ჰოროსკოპის მთელ ციკლში ყველაზე პოზიტიური დროა. 2015 წელიწადში დაბადებული ბავშვები მათი მფარველისგან ცივ, ფხიზელ გონებასთან ერთად საჩუქრად ბრწყინვალე არტისტულ ნიჭს მიიღებენ. თხის წელში დაბადებული ადამიანები კარგი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და მსახიობები გამოდიან. რბილი და მშვიდობისმოყვარე თხის წელიწადი სავარაუდოდ განსაკუთრებული კატაკლიზმების, ახალი ომებისა და კატასტროფების გარეშე ჩაივლის. თუმცა თხის სიჯიუტე და სხვისი აზრის მოსმენის უნარის ნაკლებობა მიგვანიშნებს, რომ მსოფლიოში მიმდინარე კონფლიქტები თხის განმგებლობის ხანაში საეჭვოა დასრულდეს. ხის სტიქია, რომელსაც წლის განმგებელი მიეკუთვნება, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებს დიდი მიღწევების შანსს მისცემს. ხის თხის წელიწადში შეიქმნება შედევრები, რომლებიც კაცობრიობის ოქროს ფონდში დაიმკვიდრებს ადგილს. ასევე ხის თხა ხელს შეუწყობს სამეცნიერო აღმოჩენებს, განსაკუთრებით მედიცინისა და ქიმიის სფეროებში. პოლიტიკური თვალსაზრისით ხის სტიქია მოქნილობასთან, დიპლომატიასთან, კომუნიკაბელურობასთან და სიმტკიცესთან სიმბოლიზდება. ის განასახიერებს კარგი გაგებით სიჯიუტეს, სიძლიერეს, პიროვნულ ზრდას, მაღლა სწრაფვას და მსოფლმხედველობის გაფართოებას. ხე ასევე ღრმა ფესვებია — ტრადიციებისა და ჩვეულებების პატივისცემა.

წლის ფერებია - ლურჯი, ცისფერი, მწვანე, ფირუზის და მეწამულის ფერი.

წლის კოსმიური ელემენტია - ხე.

თხის წლის თილისმად ითვლება - ლურჯი(მწვანე) ხის თხა.

კარგი იქნება თუ გვეცოდინება, როგორ შევხვდეთ ახალ წელს და რა გავითვალისწინოთ.

სახლის დეკორაცია:

ლურჯი თხის წელიწადში უმჯობესი იქნება თუ დეკორაციისთვის გამოვიყენებთ ხის მასალისგან დამზადებულ მოსართავებს და სამკაულებს. ნაძვის ხეც სასურველია, რომ მოირთოს ლურჯ, მწვანე და ფირუზისფერ ფერებში, რაც შეეხება ჭურჭელს ალბათ ძნელი იქნება ხის ჭურჭლის მოძებნა, მაგრამ თითო რამ შეიძლება მაინც აუცილებლად დავახვედროთ თხას-ხის ჭიქა ან კოვზი და ასე შემდეგ... კარგი იქნება თუ ზანზალაკებს დავკიდებთ ოთახში და ბინის შემოსასვლელში, ეს მოგიტანთ წარმატებებს თხის წელიწადში.

საახალწლო სუფრაზე უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი ხილი, ბოსტნეული, სალათები და ყველანაირი მწვანილი. არ შეიძლება სუფრაზე ცხვრის ხორცი, სხვა ხორცი დასაშვებია. განსაკუთრებით უყვარს თხას ყველი და ამიტომ, შეგიძლიათ რამდენიმე სახეობის ყველი დაახვედროთ. ასევე გაითვალისწინეთ, რომ ყველა კერძი, რასაც საახალწლო სუფრაზე მიიტანთ, უნდა იყოს გაფორმებული დიდი რაოდენობით მწვანილითა და სალათის ფოთლებით.

ახლა სად და ვისთან ერთად შევხვდეთ ახალ წელს — იმის გამო, რომ თხა შინაური ცხოველია, უმჯობესი იქნება თუ ახალ წელს ოჯახურ გარემოში, მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად შეხვდებით. თხას უყვარს მხიარული მეგობრული გარემო, მაგრამ ხმაურიანი თავყრილობა არ მოსწონს. მისთვის მნიშვნელოვანია ჰარმონია ოჯახსა და ურთიერთობებში.

საახალწლო საჩუქრები — საუკეთესო საჩუქარი თხის წელიწადში იქნება ამ წლის სიმბოლო ლურჯი თხა და ხისგან დამზადებული სამკაულები და აქსესუარები. იმის გამო, რომ თხა მშიშარა ცხოველია და ხმაური აფრთხობს, არ არის სასურველი საოჯახო ტექნიკის ჩუქება. საუკეთესო საჩუქრად ჩაითვლება თბილი შალისგან დამზადებული სამოსის და ქუდების ჩუქება და რაც მთავარია, ყველა საჩუქარი უნდა იყოს ლამაზად გაფორმებული და შეფუთული.

მუდმივი კითხვა, რა ჩავიცვათ? იმის გამო, რომ ლურჯი, ცისფერი და მწვანე თხის წელიწადის ფერებია, უმჯობესია ამ ფერებში გამოეწყოთ. დიზაინს იმდენად არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ფერს და რა თქმა უნდა, სამკაული უმჯობესია თუ იქნება ხისგან დამზადებული. მთავარი პრინციპი 2015 წელს არის ის, რომ კაბა თუ მაისური უნდა იყოს ბუნებრივი ქსოვილისგან დამზადებული.

გილოცავთ დამდეგ 2015 წელს! წარმატებების და წინსვლის წელიწადი ყოფილიყოს დამდეგი ლურჯი თხის წელიწადი!

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში„
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7